სპეციალური გაზეთი

№27 (577) • 9 სექტემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ქართული ოპოზიცია - შევარდნაძის სახელობის ნაგავსაყრელი

ქართული პოლიტიკა დიდი ხანია იქცა ნაგავსაყრელად, რომელიც იმდენი ხანია არ გამოწმენდილა, იმდენი ხანია დეზინფექცია არ ჩატარებია, რომ იქაურობა უკვე ყარს.

ვაქცინის გაკეთება, რომელიც ადამიანს კლავს და მის დნმ-ს ცვლის, შეიძლება სავალდებულო გახადონ

კაცობრიობა შეიძლება ბილ გეიტსის დანაშაულებრივ ახირებებს შეეწიროს

აკადემიკოს თინათინ თოფურიას სენსაციური ინტერვიუ, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხოს

დონალდ ტრამპი: „თუ არჩევნებში ბაიდენი გაიმარჯვებს, ამერიკას ჩინელები დაეპატრონებიან“

პოლიტდევნილ ლევან მამალაძის მხარდამჭერთა მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს

ჰეი, ვინ მოდის მანდ მოგავლიდან?!

ხმაურით დაყრუებული ქალაქი და დაყრუებული კანონი

გინდათ, გესაუბროთ ჭეშმარიტ ღმერთზე? ანუ „ნაცები“ - ახალი ტიპის იეღოველები არიან

რეპორტაჟი სოსო ცინცაძის აგარაკიდან, რომელიც 85 წლის გახდა

ხელოვნური სამოთხე, ანუ ტკბილი და ნეტარი საკონცენტრაციო ბანაკი ადამიანთა გამოსათაყვანებლად

ტომა სანკარა - ყველაზე პატიოსანი პრეზიდენტი რომელიც საუკეთესო მეგობარმა მოკლა

ქართული ოპოზიცია – შევარდნაძის სახელობის ნაგავსაყრელი

ქართული პოლიტიკა დიდი ხანია იქცა ნაგავსაყრელად, რომელიც იმდენი ხანია არ გამოწმენდილა, იმდენი ხანია დეზინფექცია არ ჩატარებია, რომ იქაურობა უკვე ყარს.

ვინც სააკაშვილს უჭერს მხარს, ის სააკაშვილზე უარესია და როცა ამ მცირერიცხოვან, პატარა ერში 400-500 ათასი მოქალაქე სააკაშვილზე უარესია, იმ ერს რა პერსპექტივა უნდა ჰქონდეს, იმან როგორ უნდა აშენოს სახელმწიფო და როგორ უნდა წაიყვანოს ქვეყანა წინ?

ჩვენ რა ვქნათ, კიდევ 20 წელი უნდა ვიჯდეთ ამ ნაგავში და იმაზე უნდა ვბჭობდეთ, კრიმინალი სააკაშვილი უნდა ავირჩიოთ თუ კრიმინალი ბოკერია?

სააკაშვილი-პუტინის „ვანკა-ვსტანკა“, პუტინის „პაბეგუშკაზე“ მორბენალი ხელისბიჭია

ვახტანგ ხარჩილავა:

ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ამ წინასაარჩევნო კამპანიას რომ ვაკვირდები, უფრო და უფრო ვრწმუნდები — ამ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ ღირსეული კონკურენტი და ოპონენტი არ ჰყავს.

არ არის ეს დიდად სასიხარულო ამბავი, არც პირადად ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი მოქალაქისთვის და ალბათ, არც „ქართული ოცნებისთვის“, რადგან ჯანსაღი, ცივილური კონკურენციაა ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას და ქვეყნის წინსვლას ხელს უწყობს და მოტივაციას უჩენს.

როცა კონკურენტი არ გყავს, დუნდები, ზრდას და განვითარებას წყვეტ და თვითკმაყოფილე-

ბის ტკბილ და მათრობელა ჭაობში ეფლობი.

ამიტომ, როცა კონკურენტი არ გყავს, იძულებული ხარ, ის გამოიგონო, შეთხზა, შექმნა, არარაობის და არაფრისგან რაღაც შეაკოწიწო, თუნდაც ბოსტანში დასადგმელი საფრთხობელის მაგვარი რამ, „მტერი“ — ბუტაფორია, „მოწინააღმდეგე“ — მირაჟი, ოპონენტი — „ვოზდუხი“.

„ქართულ ოცნებას“ არც ამ მხრივ გაუმართლა — იმდენად მწირი, იმდენად ღარიბი და გადახუნებულია ქართული პოლიტიკური სპექტრი, რომ იქიდან ასე თუ ისე ნორმალური და მისაღები ოპონენტის გამოძერწვა და გამოგონება იოლი საქმე არ არის.

58 პარტიაა დარეგისტრირებული ცესკოს საარჩევნო სიაში, დაურეგისტრირებელი კიდევ სამი იმდენია, მაგრამ მათი უმრავლესობა არც მოყვარედ უქნია ღმერთს და არც მტრად.

ეს არის ბალასტი, მაკულატურა, ჩენჩო...

ქართული პოლიტიკა დიდი ხანია იქცა ნაგავსაყრელად, რომელიც იმდენი ხანია არ გამოწმენდილა, იმდენი ხანია დეზინფექცია არ ჩატარებია, რომ იქაურობა უკვე ყარს.

აი, ამ ნაგავსაყრელზე ვიქექებით ჩვენ ოცდაათი წელია და იქიდან იმ ბრილიანტების ამოკრეფას ვცდილობთ, რომლებიც იქ არ არის.

ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის სახელობის ნაგავსაყრელია ეს, მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობაა.

ეს მან შთააგონა ქართველ ხალხს და მან დაგვიტოვა ახალ მოძღვრებად, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა.

თუ პოლიტიკა ბინძური საქმეა, იქ წესიერი და პატიოსანი ადამიანების ადგილი არ ყოფილა და ასპარეზი ბინძურ ადამიანებს უნდა დაეთმოთ, რომლებიც ყველაფერს იკადრებენ, ყველაფერზე წავლენ და სინდისის ქენჯნა არც შეაწუხებთ — პოლიტიკა ხომ ბინძური საქმეა!

ასე ასწავლა შეგირდებს დიდმა გურუმ, ასე ასწავლა დიდმა მოძღვარმა და ჩვენი პოლიტიკოსების უმრავლესობას ამ მოძღვრებისთვის არ გადაუხვევია.

პირიქით, ზოგიერთებმა კიდევ უფრო განავითარეს, კიდევ უფრო გააღრმავეს და ახალ რეგისტრში აიყვანეს დიდი მასწავლებლის დანაბარები.

ვინ შეყარა ერთად ამდენი აფერისტი, ამდენი ავანტიურისტი და პროვოკატორი, ამდენი ქვეყნის მოღალატე და გამყიდველი, ამდენი ბრიყვი და ყეყეჩი და ვინ უწოდა და ვინ მონათლა ეს ყველაფერი პოლიტიკად?

●

„ქართული ოცნების“ გარდა, დღეს არსებული თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია, რომლებსაც ასე თუ ისე პოლიტიკური პარტია ეთქმის, შევარდნაძის „მოქკავშირულ“ ყანაშია გაზრდილი და ამ ყანის მოწამლული და მოშხამული ნიადაგიდან იკვებება დღემდე.

ამ პარტიათა შორის პირველი მაინც „ნაცმოძრაობა“ უნდა დავასახელოთ, „ნაცმოძრაობა“ — შევარდნაძის ნაბიჭვარი პოლიტიკური შვილი, „მოქკავშირელი“ თანამებრძოლების და თანამოაზრეებისგან ჩუმად, მალულად, ნაპარავად გაკეთებული, რომელიც, მოგვიანებით, ასევე ჩუმად და მალულად მიუსია თავის ერთგულ თანამებრძოლებს და თითო-თითოდ შეაჭმევინა, რომ თვითონ ცოცხალი და საღ-სალამათი დარჩენილიყო.

„ნაცმოძრაობა“, რომელიც ხშირ-ხშირად აყვედრის „ქართულ ოცნებას“, რომ უკვე რვა წელია ხელისუფლებაშია და დროა წავიდეს, თვითონ, ფაქტობრივად, 25 წელია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშია სხვადასხვა სტატუსით და როგორც ჩანს კიდევ 25 წელი უნდა რომ ზედაპირზე იტივტივოს.

სულ ტყუილად აბრალებენ „ქართულ ოცნებას“, რომ ქართულ სინამდვილეში მან შექმნა კოჰაბიტაციის პირველი პრეცედენტი.

კოჰაბიტაციის პირველი პრეცედენტი შექმნა შევარდნაძემ, როცა 1995 წელს ქართულ პოლიტიკაში ქართული მენტალობისთვის აბსოლუტურად უცხო, გაურკვეველი იდეოლოგიის და მისწრაფებების პოლიტიკური „შპანა“ შემოყარა და საპასუხისმგებლო თანამდებობები ჩამოურიგა.

ედუარდ შევარდნაძეს ბევრი დანაშაული მიუძღვის ქართული სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ ამ დანაშაულთაგან ყველაზე მძიმე დანაშაული „მოქკავშირის“ ე.წ. ახალგაზრდული ფრთის აღზევება იყო.

ამ ფრთამ, რომელსაც ინტრიგების ხლართვის, ფულის კეთების, კორუფციული სქემების დალაგების საოცარი ალღო და უნარი აღმოაჩნდა, სულ მალე შეისხა მძლავრი ფრთები და სახელმწიფო გადატრიალების გზით, რომელსაც, რატომღაც, „ვარდების რევოლუცია“ ეწო-



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასაკალ-დასაკალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

„ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტებს, არც სააკაშვილთან ერთად და არც სააკაშვილის გარეშე, ოქტომბერში გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვთ.

და, თავის დროზე ხელისუფლებაში ასევე სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული შევარდნაძე დაამხო.

თუ ქურდის ქურდი ცხონდება, ამ ლოგიკით გადამტრიალებლის გადამტრიალებელიც უნდა ცხონდეს — ასე მიიღო ქართველი ხალხის ერთმა ნაწილმა „ნაცმოძრაობის“ და მიხეილ სააკაშვილის მოსვლა ხელისუფლებაში, თუმცა იმას ვერ მიხვდა, რომ სააკაშვილიც იგივე შევარდნაძე იყო, ახალგაზრდა შევარდნაძე, მასავით დაუნდობელი, სასტიკი, სისხლის მოყვარული, შურისმაძიებელი, ძალაუფლების ფლობის მანიაკალური ინსტინქტებით შეპყრობილი.

●

სააკაშვილმა ცხრა წლის განმავლობაში ზუსტად ის აკეთა, რასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში აკეთებდა შევარდნაძე და რაც მთავარია, და რაც უპირველესია: — მან დაასრულა და „დააგვირგვინა“ შევარდნაძის უშუალო მონაწილეობით დაწყებული პროექტი — აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთისთვის გადაბარების პროექტი.

ქართველი კაცისთვის, რომელსაც ოდნავ მაინც უყვარს თავისი ქვეყანა, წარმოუდგენელი და დაუჯერებელია იმ მასშტაბის ღალატი, რაც ამ ორმა პერსონამ, შევარდნაძემ და სააკაშვილმა, ჩაიდინეს საქართველოს წინაშე.

საქართველოს ისტორიას ბევრი ღალატი ახსოვს, მაგრამ ასეთი თვალთმაქცობით, ასეთი ვერაგობით, ცინიზმით და მზაკვრობით ჩადენილი ღალატი — არა!

ეს ისეთი ფილიგრანული ოსტატობით ჩადენილი ღალატები იყო, რომლებიც ღალატად კი არა სამშობლოსათვის თავდადებულ ბრძოლად და გმირობად გამოცხადდა.

არადა, შევარდნაძის და სააკაშვილის მიერ განხორციელებული ორივე ღალატი ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს, შესრულების მანერით, სიუჟეტური ქარგით, მოტივაციით და სავალალო შედეგებით.

რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში შევარდნაძემ გააკეთა, ზუსტად იგივე გაიმეორა სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში.

შევარდნაძის და სააკაშვილის მიერ ჩადენილ ქმედებებს ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, უამრავი ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დევნილად და ლტოლვილად იქცა, დაიკარგა, ტერიტორიები, დაინგრა ეკონომიკა, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა ლუკმა-პურის საშოვნელად ემიგრაციაში წასულიყო.

ქვეყნისთვის მიყენებული ასეთი კატასტროფული ზიანის კი არა, თუნდაც წაგებული ლოკალური ბრძოლების შემდეგ მხედარმთავრები, რომლებსაც ღირსების და პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნიათ, თავს იკლავენ ხოლმე...

ჩვენს მთავარსარდლებს, შევარდნაძეს და სააკაშვილს, თავის მოკვლას ვინ ჩივის, ბოდიშიც კი არ მოუხდიათ ხეირიანად.

ან რატომ მოიხდიდნენ — ერთს დავუჩოქეთ და იქით შევეხვეწეთ — არ წახვიდეო, იმანაც მოწყალება მიიღო და კიდევ ათი წელი „იმეფა“. მეორემ წაგებული ომი გამარჯვებად გამოაცხადა და ვუმღერეთ, ვუცეკვეთ, ვაშა-ვაშა ვუძახეთ და კიდევ ხუთი წელი გვყავდა პრეზიდენტად, ახლა კი მცირეოდენი პაუზის შემდეგ ისევ უკან აპირებს მობრუნებას, ვიღაც-ვიღაცები კი ისე ელოდებიან, როგორც მესიას.

ამ გამაოგნებელი სურათის შემხედვარეს, ხანდახან სიცოცლე არ მინდა, იმდენად დამთრგუნველია იმის შეგრძნება, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ათიათასებს და ასიათასებს მოითვლის რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებიც ქვეყნის გამყიდველ და მოღალატე საკაშვილს უჭერენ მხარს.

ვინც სააკაშვილს უჭერს მხარს, ის სააკაშვილზე უარესია და როცა ამ მცირერიცხოვან, პატარა ერში 400–500 ათასი მოქალაქე სააკაშვილზე უარესია, იმ ერს რა პერსპექტივა უნდა ჰქონდეს, იმან როგორ უნდა აშენოს სახელმწიფო და როგორ უნდა წაიყვანოს ქვეყანა წინ?

●

ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნები გვაქვს...

კი, მაგრამ, რა არჩევანი აქვს ქართველ ხალხს ამ არჩევნებში? რომელ პარტიას შეიძლება მხარი დაუჭიროს იმ პარტიებიდან, რომლებიც შალვას ფანჩატურში „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდით ბოკერიასთან, უგულავასთან, ბარამიძესთან, ბაქრაძესთან, ვაშაძეებთან დასხდნენ სათათბიროდ?

— მთელ საქართველოში ერთადერთს მე მესმის პოლიტიკა... ვიცი, ეს პოლიტიკა და რა ვქნა? ამიტომ მე და ჩემს პარტიას ენდეთ, მხოლოდ ჩვენ მოგვეცით ხმა, რომ ქვეყანა გადავარჩინოთ, — გვარწმუნებს ბოკერიას გვერდით ყელმოღერებით მჯდარი ნინო ბურჯანაძე.

კი, იცის ამ ქალბატონმა პოლიტიკა, აბა, რა! კარგი პოლიტიკოსობა ამას ის ჰგონია, პარლამენტის თავმჯდომარე რომ ხარ და სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეებს რომ ამოუდგები გვერდით, სააკაშვილს ორჯერ რომ „გაუპრავებ“ პრეზიდენტობას, ხან პროდასავლელი რომ ხარ და ხან — პრორუსი, მომიტინგეებს სასიკვდილოდ რომ გაიმეტებ და სააკაშვილის სადისტ ზონდერებს რომ მიუგდებ ასაკეპად.

ერთადერთ, განუმეორებელ, ნომერ პირველ პოლიტიკოს ნინო ბურჯანაძეს ღირსეული კონკურენტი და ოპონენტი გამოუჩნდა „პუბლიცისტ“ თაკო ჩარკვიანის სახით, რომელიც, ჯერჯერობით, არ ამხელს, რომ ქალბატონებში ნომერ პირველი პოლიტიკოსი სწორედ ის არის და არა „ფქვილის პრინცესა“.

ცოტა ძნელი გასარკვევი კი არის, ქალი, რომელმაც პარტია „კანონი და სამართალი“ დააფუძნა, ასე რატომ ეფიანდაზება იმ არამზადებს, რომლებიც უკანონობას და უსამართლობას ემსახურებოდნენ, მაგრამ ხომ გითხარით, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა და თუ წარმატების მიღწევა გინდა, ამ ბინძურ საქმეს ბოლომდე უნდა მიჰყვე, შუბლის ძარღვი უნდა გაიწყვიტო და კაცს, რომელსაც შენი ქვეყნის და პირადად შენი ოჯახისთვის სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია, მაოხრებელი უნდა დაუძახო, ხოლო ნამდვილ მაოხრებელს ჰაეროვანი კოცნები უნდა გაუგზავნო და მის შესაძლო უკან მობრუნებას გულაჩვილებული და თვალზე ცრემლმომდგარი უნდა მიესალმო.

მართალია, ჯერ არჩევნები არ ჩატარებულა, მაგრამ ჩარკვიანის ქალმა უკვე „დანიშნა“ ახალი პრემიერ-მინისტრი გიორგი ვაშაძე — აღმაშენებელი.

ერთი მიშა აღმაშენებელი ხომ გვყავდა, ახლა გიორგი აღმაშენებელიც გვეყოლება.

გიორგი „აღმაშენებელს“ ვუსმინე ამასწინათ „აქუს“ ტელებოსელში. იმდენი სისულელე ილაპარაკა ამ „აღმაშენებელმა“, იმდენი სიბრიყვე აფრქვია, დავრწმუნდი — აღმაშენებელი კი არა, ეს კაცი ბარონ მიუნჰაუზენის სინდრომით შეპყრობილი ერთი ქოსატყუილაა.

„ჯუნიორი“ ამტკიცებს, რომ მისი და მისი პარტიის რეიტინგი დღითიდღე მატულობს და „ახალი საქართველო“ უკვე პირველ ადგილზე გაიჭრა, თუმცა, როგორც ირკვევა, ასევე პირველ ადგილზე არიან სხვებიც.

პირველ ადგილზეა „ნაცმოძრაობა“, პირველ ადგილზეა „ევროპული საქართველო“, „ლეიბორისტები“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ლელო საქართველოსთვის“, ბურჯანაძე და ა.შ.

მოკლედ, როგორც თავად გვარწმუნებენ, ყველანი პირველ ადგილზე არიან, ერთადერთი „ქართული ოცნებაა“ თურმე ბოლო ადგილზე.

რას იზამ, როცა ყველანი პირველ ადგილზე არიან, ვიღაც ხომ უნდა იყოს ბოლო ადგილზე?

●

2012 წელს ქართველმა ხალხმა, ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ არა მარტო სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმი დაამარცხა, არამედ მასთან ერთად დაასრულა ასევე სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული შევარდნაძის ხელისუფლება, რომლის გაგრძელება და პირდაპირი სამართალმემკვიდრეა „ნაცმოძრაობა“.

ქვეყნისთვის საეტაპო მნიშვნელობის ამ ისტორიულ გამარჯვებას, სამწუხაროდ, არ მოჰყვა 1992–2012 წლების განმავლობაში მომხდარი მოვლენების ობიექტური, მიუკერძოებელი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება, რის გამოც ვერ მოხერხდა შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმების მიერ დანაგვიანებული პოლიტიკური ველის გაწმენდა მავნე და მომწამვლელი ნივთიერებებით გაჟღენთილი ნარჩენებისგან.

ასე შეგვრჩა ხელთ პოლიტიკის ნაცვლად პოლიტიკური ნაგავსაყრელი, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, ედუარდ შევარდნაძის სახელობისაა.

როცა ნაგავსაყრელის დროული კონსერვაცია არ ხდება, მის ადგილზე შეიძლება ისეთი მცენარეები ამოიზარდონ, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით გარეგნულად ლამაზი და მშვენიერები არიან, ფესვები აქვთ შხამიანი, ხოლო ნაყოფი ტოქსიკური, მომწამვლელი, სიცოცხლისთვის საშიში.

აი, ამ ნაგავსაყრელზე ამოხეთქილ „წალკოტში“ ეპატიჟებიან დღეს ამომრჩეველს ე.წ. ოპოზიციური პარტიები.

ტრაგიკული სურათია, შეურაცხმყოფელი, ალოგიკური, ცინიკური...

ამ „წალკოტის“ ბინადართაგან, სადაც სამართალია, ბევრი ციხეში უნდა იჯდეს, ბევრი არჩევნებში მონაწილეობას კი არა, ხმის ამოღებას და ხალხში თავის გამოყოფას ვერ უნდა ბედავდეს, მაგრამ პირიქითაა ყველაფერი — თავად დასაჭერები სხვებს უპირებენ დაჭერას და გასამართლებას.

— ქვეყნის მტრები არიან ესენი, კრიმინალები არიან, მაგრამ არა უშავს, ოქტომბერში, არჩევნებში, დავამთავრებთო, — ბრძანა „ქართული ოცნების“ ერთმა წარმომადგენელმა.

ქვეყნის მტრები და კრიმინალები წესით და რიგით, არჩევნებში კი არ უნდა დავამთავროთ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მივცეთ, მაგრამ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს, როცა მკვლელების, ხაზინის ქურდების, განგსტერების დაჭერაც კი დემოკრატიული ღირებულებების ხელყოფად გვეთვლება.

სპეციალურად საქართველოსთვის დემოკრატიის რაღაც ახალი, აქამდე უცნობი ფორმაა გამოგონებული თუ რაშია საქმე?

და მაინც, შეეძლო თუ არა „ქართულ ოცნებას“ ამ ნაგავსაყრელის კონსერვაცია მოეხდინა და საქმე აქამდე არ მისულიყო?

არა, არ შეეძლო, რადგან, როგორც ირკვევა, ამ ნაგავსაყრელს და მსოფლიოში არსებულ სხვა ნაგავსაყრელებსაც თავისი უცხოელი პატრონები ჰყავთ და ამ ნაგვით დიდ ბიზნესს ატრიალებენ.

კი, მაგრამ, ჩვენ რა ვქნათ, კიდევ 20 წელი უნდა ვიჯდეთ ამ ნაგავში და იმაზე უნდა ვბჭობდეთ კრიმინალი სააკაშვილი უნდა ავირჩიოთ თუ კრიმინალი ბოკერია?

არაფერი არ ეშველება ამ საქმეს, სანამ ქართველი ხალხის ის ნაწილი, რომელიც ისევ და ისევ ამ პოლიტიკურ ნაგავსაყრელში იქექება, არ მიხვდება, რომ ნაგავში ქექვა, პირველყოვლისა, სწორედ მათთვის არის ზიანის მომტანი და მათი ღირსების შემლახავი და შეურაცხმყოფელი.

●

„ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტებს, არც სააკაშვილთან ერთად და არც სააკაშვილის გარეშე, ოქტომბერში გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვთ.

მათ ეს იციან და არჩევნებში გამარჯვებისთვის კი არა, არჩევნების მეორე დღეს არეულობის, ქაოსის, დესტაბილიზაციის მოსაწყობად ემზადებიან.

სწორედ ამიტომ აპირებს სააკაშვილი-პუტინის „ვანკა-ვსტანკა“, პუტინის „პაბეგუშკაზე“ მორბენალი ხელისბიჭი საქართველოში ჩამოსვლას.

ისინი ხელმესამედ აპირებენ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, რომ ქვეყანა საბოლოოდ ჩაძირონ ამ აშმორებულ ნაგავსაყრელში.

„ნაცმოძრაობა“ და მისი განშტოებები „ჩერეზ“ დასავლეთიდან შემოგზავნილი რუსეთის მეხუთე კოლონაა.

რით ვერ მიხვდით ამას, ქართველებო, რით ვერ გაიგეთ?!!

ვაქცინის გაკეთება, რომელიც ადამიანს კლავს და მის დნმ-ს ცვლის, შეიძლება სავალდებულო გახადონ

აკადემიკოს თინათინ თოფურიას სენსაციური ინტერვიუ, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხოს

● კაცობრიობა შეიძლება ბილ გეიტსის დანაშაულებრივ ახირებებს შეეწიროს

● კოვიდ-19 არ არის მკვლელი ვირუსი. მკვლელები ის ადამიანები არიან, რომლებიც ამ ვირუსზე თავზარდამცემ ლეგენდებს თხზავენ და ამით მილიარდებს შოულობენ.

1 სექტემბერს ბერლინში 5 მილიონიანი საპროტესტო მიტინგი გაიმართა, სადაც ევროპის ქვეყნების და ამერიკის დელეგაციები ჩავიდნენ. დამსწრეთა შორის იყვნენ ქართველებიც. პარალელურად, მხარდამჭერი, მშვიდობიანი დემონსტრაციები ბევრ ქვეყანაში ჩატარდა, მათ შორის, კანადაში, ინგლისში, ესპანეთში, საფრანგეთში, საქართველოში. საპროტესტო ტალღა უფრო და უფრო იმატებს, სადაც მოსახლეობა კოვიდ-19 ის პანდემიასთან დაკავშირებულ შეზღუდვებსა და დაანონსებულ ვაქცინაციას აპროტესტებს.

გვესაუბრება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ადამიანის ეკოლოგიის ექსპერტთა საბჭოს

თავმჯდომარე, აკადემიკოსი **თინათინ თოფურია**:

— ქალბატონო თინა, მოსახლეობის ნაწილი ვაქცინას მოუთმენლად ელოდება, რაც არსებული შეზღუდვებიდან გაგვათავისუფლებს. რით არის განპირობებული საპროტესტო ტალღა?

— ჯანმოს განცხადებით: შეზღუდვებით ცხოვრება მანამ მოგვიწევს, სანამ არ შეიქმნება ამ ვირუსთან საბრძოლველი საწინააღმდეგო პრეპარატი ან მისგან დამცავი ვაქცინა. სპეციფიური წამალი, ჯერჯერობით, არ არსებობს. აი, ვაქცინა კი 200-მდე ლაბორატორიამ შექმნა და დიდი კონკურენცია ატყდა. ვაქცინის როგორც შექმნა, ასევე, აპრობირება ძალიან დაჩქარებული ტემპით მიდის. დასწრებაზე არიან — ვინ დაიპყრობს მსოფლიო ბაზარს. თუმცა, როგორც ირკვევა, იგი, წინასწარვე ჰქონდათ გადანაწილებული, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გათვალეს — რუსეთმა მათ გეგმები მოულოდნელად აურია. კერძოდ, მან პირველმა გამოაცხადა, რომ ვაქცინა უკვე მზად აქვს და იწყებს ვაქცინაციას! წარმოიდგინეთ, უკვე შეკვეთებიც მიიღო.

— ქალბატონო თინა, რამდენად სანდოა ეს ვაქცინა?

— ამ ეტაპზე, არცერთი ვაქცინა სანდო არ არის! ახალი კორონა ვირუსის გამოჩენიდან ძალიან მცირე დრო არის გასული და ჯერ წესიერად შესწავლილიც არ არის. რაიმე შეფასების გაკეთება საკმაოდ ადრეა მიუხედავად იმისა, სადაურია ეს ვაქცინა — რუსული, ამერიკული, ჩინური თუ ევროპული.

— იქნებ, უფრო კონკრეტულად აგვიხსნათ ამის მიზეზი?

— მიზეზი რამდენიმეა. ვაქცინა ძალიან დაჩქარებული ტემპით შეიქმნა. დარღვეულია როგორც ვაქცინის შექმნის, ასევე, მისი აპრობაციის ვადები. არსებობს წესები, სტანდარტები, რომელთა დარღვევაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. საქმე ხომ ადამიანების სიცოცხლეს ეხება. ამიტომ, ასეთი რისკები არამარტო გაუმართლებელია, არამედ დანაშაულის ტოლფასია. ვაქცინის შექმნას 12-დან 18 თვემდე სჭირდება, ნაწილობრივ გამოცდას ხუთი, ხოლო სრულყოფილს — ათი წელი. შემდგომი ეტაპია მისი გამოცდა ცხოველებზე, რაც ამჯერად, საერთოდ გამოტოვეს, ენტონი ფაუჩის ხელდასმით. გამოცდა პირდაპირ ადამიანებზე დაიწყო! აქაც, რამდენიმე ეტაპი არსებობს: ჯერ შეჰყავთ ვაქცინა და აკვირდებიან როგორ იქცევა იგი ორგანიზმში და როგორ რეაგირებს მასზე თავად ორგანიზმი. ანუ, ხომ არ არის ტოქსიური და რამდენად უსაფრთხოა. შემდეგ, უნდა განისაზღვროს დოზა, ანუ, ის რაოდენობა, რაც იმუნური პასუხის მისაღებად არის საჭირო, მაგრამ ორგანიზმს საფრთხეს არ უქმნის. შემდეგ სწავლობენ თუ რამდენად ეფექტურია, როდის გამოიმუშავებს ანტისხეულებს, სხვა დამცავ ფაქტორებს და რამდენ ხანს რჩება ორგანიზმში, ანუ, რამდენად მყარია ეს იმუნიტეტი. შემდეგ, მოხალისეებს უნდა შეუყვანონ ნამდვილი ვირუსი, რომელიც იმ მომენტისათვის ცირკულირებს. ასე, აკვირდებიან რამდენად დაიცავს ეს გამომუშავებული იმუნიტეტი რეალური დაავადებისგან, რასაც რა თქმა უნდა, დრო სჭირდება. კერძოდ, აკვირდებიან გვერდით მოვლენებს და მოგვიანებით, გართულებებს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დიდ დროს მოითხოვს. კიდევ უფრო მეტ დროს მოითხოვს იმის შესწავლა თუ რა გავლენას ახდენს ეს ვაქცინაცია ფერტილობაზე, ანუ შობადობის ფუნქციაზე და ხომ არ აქვს მუტაგენური ეფექტი — ხომ არ იწვევს სიმახინჯეებს მომავალ თაობებში. ასევე, სწავლობენ მის კანცეროგენობას, აკვირდებიან ხომ არ იწვევს იგი სიმსივნეების წარმოშობას. ალბათ, ხვდებით, რომ ყოველივე ამას წლები სჭირდება. არაერთი მაგალითია ცნობილი, როცა ქმნიან პრეპარატს, ნერგავენ და წლების მერე კრძალავენ იმის გამო, რომ ის ზემოჩამოთვლილთაგან რომელიმე გართულებას იწვევს. თუმცა, იმის დამტკიცება, რომ ვაქცინამ ავნო და ესა თუ ის გართულება გამოიწვია, ძალიან

რთულია. ჩვენთან ეს შეუძლებელიც კი არის.

— თუ არის ცნობილი რაიმე ინფორმაცია იმ ვაქცინის შესახებ, რომელიც საქართველოში უნდა შემოიტანონ?

— რა თქმა უნდა. ჩვენთან, ოქსფორდის ვაქცინა შემოაქვთ, რომელიც ფირმა **AstraZeneca**-სთან ერთადაა შექმნილი. ინფორმაცია ოფიციალურად არის გამოქვეყნებული. ეს გახლავთ გენმოდიფიცირებული ვაქცინა, რომლის მისაღებადაც შიმპანზეს ადენოვირუსი იქნა გამოყენებული. როგორც დადგინდა ანტისხეულების გამოყოფა ამ ვაქცინის შეყვანიდან 7 დღეში იწყება და მაქსიმუმს 14 დღეში აღწევს. რაღაც დროის მერე იწყებს კლებას და 56 დღეში საერთოდ ქრება. ამიტომ, აქვე, მითითებულია, რომ ვაქცინის ერთი დოზა საკმარისი არ არის და მეორეც საჭიროა!

— როგორია აცრილების მდგომარეობა?

— თავდაპირველად, როგორც ირკვევა, რამდენიმე მათგანს საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნათ, მაგრამ რადგან სასიკვდილო არ იყო, დროებითი გართულებების კატეგორიაში გაიყვანეს და შემდგომი ვაქცინაცია ანტივირუსული პრეპარატის — პარაცეტამოლის ფონზე კეთდებოდა, რაც საკმაოდ უცნაურია!

— გამოდის, რომ კოვიდ — 19-ის აცრა მხოლოდ 1–2 თვე დაგვიცავს და არა სამუდამოდ როგორც სხვა აცრები გვიცავს? ესეც ყოველ წელს უნდა ვიკეთოთ ისევე როგორც გრიპის აცრა?

— დიახ. უფრო ხშირადაც, რადგან კოვიდ ვირუსს გრიპისგან განსხვავებით სეზონურობა არ ახასიათებს. გარდა ამისა, ეს ვირუსი სწრაფ მუტაციას განიცდის და სულ ახალ-ახალ შტამებთან გვექნება საქმე, რაც უკვე სახეზეა.

— როგორც აცხადებენ: ვაქცინას მალე შემოიტანენ და თავდაპირველად 700 ათას ადამიანს აცრიან, ანუ, მათ ვინც 65 წელს გადაცილებულია, როგორც უფრო მოწყვლადი კატეგორია.

— დიახ და სწორედ აი, ეს არის ძალიან შემაშფოთებელი! დასკვნაში რომელიც მათ გამოაქვეყნეს ხაზგასმით წერია: გამოცდა ჩატარებულია მხოლოდ ახალგაზრდა, ჯანმრთელ მოხალისეებზე, რომელთაც არ ჰქონიათ სხვა რაიმე დაავადება. ხოლო ასაკოვან ხალხზე და მათზე ვისაც ქრონიკული დაავადებები აქვთ, კვლევები ჩატარებული არ არის. ეს უფრო სერიოზულ და ღრმა კვლევებს საჭიროებს.

— კი მაგრამ ასაკში ხომ ყველას აქვს რაიმე ქრონიკული დაავადება. მაგალითად, დიაბეტი ახალგაზრდებშიც ძალიან ხშირია. ისინი როგორ გადაიტანენ ამ ვირუსს?

— ეგ შესწავლილი არ არის და პროგნოზის თეორიულად გაკეთება ყოვლად დაუშვებელია. თუ მაინც თეორიულად ვიმსჯელებთ, უბრალო კორონაც კი, რომელიც აუცრელობის შემთხვევაში სურდოს გამოიწვევს, აცრილებისთვის, დიდი ალბათობით, შეიძლება სასიკვდილო გახდეს.

— ასეთი მძიმე პროგნოზის გაკეთების საფუძველს რა გაძლევთ?

— კორონა ვირუსებს ერთი თავისებურება აქვთ, რის გამოც აქამდე მათ წინააღმდეგ ეფექტური ვაქცინის შექმნა ვერ მოხერხდა. ეს არის იმუნიტეტის პარადოქსული

რეაქცია, რასაც ისინი ორგანიზმში იწვევენ. ეს ფენომენი ჯერ კიდევ 1964 წელს იყო აღწერილი. ბევრი მეცნიერი ეცადა ამ პრობლემის გადაჭრას, მათ შორის, ფაუჩიც, მაგრამ უშედეგოდ. საქმე შემდეგშია: არსებობს კორონას 40-მდე სახეობა. მათ წინააღმდეგ არაერთი ვაქცინა შეიქმნა. როცა იგი ცხოველებს შეუყვანეს, მათ ანტისხეულები გამოუმუშავდათ და თითქოს, ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ მერე, როცა აცრილი ცხოველები დააავადეს ისინი დაიხოცნენ, ხოლო აუცრელებმა მსუბუქად გადაიტანეს. იგივე მოხდა ადამიანებშიც. აქ, ხდება ძალიან სპეციფიური, რთული მექანიზმების ჩართვა, რისი ახსნითაც თავს არ შეგაწყენ თ. ვეცდები, მარტივად გაგარკვიოთ. კორონას ვიირუსებს აქვთ უცნაური თავისებურება — ანტისხეულების გარკვეული ჯგუფი „დაიმეგობროს“ და ნაცვლად იმისა, რომ ვირუსს ებრძოლონ, ისინი პატრონის სხეულს უწყებენ ბრძოლას და უკონტროლო აუტოიმუნურ პროცესებს იწვევენ, რასაც მძიმე დაავადებებამდე მივყავართ და ხშირად ეს იწვევს სიკვდილს, განსაკუთრებით, მოხუცებში.

— ახლა, დაიწყეს აგიტაცია: გაიკეთეთ სეზონური გრიპის აცრა და ეს კორონასგან დაგიცავთო. რამდენად მართალია ეს ინფორმაცია?

— არა, პირიქით. ის თუ როგორ გადაიტანს ადამიანი ამ ახალ კორონა ვირუსს დამოკიდებულია იმაზე რა დახვდება მას ორგანიზმში. რაც მეტი ანტისხეული დახვდება, მით მეტია დამძიმების ალბათობა.ე.ი. რაც მეტი აცრა ექნება ადამიანს გაკეთებული, მით უარესია. გრიპის აცრა საერთოდ არ არის გამართლებული. არასდროს იციან რომელი ვირუსი იქნება სეზონზე აქტიური. გარდა ამისა, ვირუსი სწრაფად განიცდის მუტაციას.

— ვინც ამ ახალი კორონას აცრას გვიპირებს, მათ იციან კორონას ამ თავისებურების შესახებ? პარადოქსულ რეაქციას ვგულისხმობ.

— რა თქმა უნდა, ეს კარგად ცნობილი ფაქტია. ამაზე, ახლა, ხშირად საუბრობენ ცნობილი მეცნიერები, მათ შორის, ვაქცინაციის პროპაგანდისტებიც, კერძოდ, ფაუჩიც. სწორედ ამიტომ იყო, რომ მან მაისში ამერიკის სენატს მოხსენებაში პირდაპირ განუცხადა, რომ ეჭვქვეშ აყენებს კოვიდ — 19-ს წინააღმდეგ ეფექტური ვაქცინის შექმნის შესაძლებლობას. სულ მეტი და მეტი საგანგაშო გაფრთხილება ისმის მეცნიერებისგან, რომ ეს აცრა დიდ რისკებთან არის დაკავშირებული და დაცვის მაგივრად საშინელ გართულებებს და სიკვდილიანობას გამოიწვევს. ასე, რომ აქამდე თუ ვინმემ რამე არ იცოდა, ახლა, მაინც უნდა შეესწავლა ვაქცინაციასთან და კორონებთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

იმისთვის, რომ ხალხმა ეს აცრა ნებაყოფლობით გაიკეთოს. სწორედ ამიტომ გვაჯერებენ, რომ კორონა მონსტრია და ჩვენი ცხოვრების განუყოფელი კოშმარი იქნება, რომელთან თანაცხოვრება მოგვიწევს და გადარჩენის ერთადერთი პირობა ვაქცინაა! ამისთვის წესდება ეს შეზღუდვებიც და პირბადეებიც. ასევე, გაუთავებელი ფსიქოლოგიური წნეხი, რამაც ამდენი აგრესია და სუიციდი გამოიწვია.

— კი მაგრამ რა საჭიროა ეს ყველაფერი, რა არის ამის აზრი?

— ბილ გეითსის ახირება! მან გადაწყვიტა, რომ შეექმნა ისეთი გენმოდიფიცირებული ვაქცინა, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ადამიანის გენეტიკას გარდაქმნის. ანუ, ვაქცინა რომელიც შვიდ მილიარდ ადამიანს უნდა გაუკეთდეს, ადამიანის დეენემს სამუდამოდ ცვლის. ამაზე ბილ გეითსის დაკვეთით უკვე წლებია მუშაობენ მეცნიერები და კარგადაც ფინანსდებიან. თუმცა ამას მეცნიერთა უმრავლესობა არ ეთანხმება (მცენარეთა გენმოდიფიცირებამ ვნახეთ



რა შედეგიც გამოიღო და ადამიანებში რას გამოიწვევს არავინ იცისო). ახლა, მას უნდა თავისი პირმშოს გამოცდა, რომელიც მისი სიამაყეა. ვფიქრობ, რომ ეს არის მისი ძირითადი მოტივაცია. ალბათ, შეგიმჩნევიათ, რომ დიდი ფული ადამიანებს ტვინს უმღვრევს და ღმერთის ფუნქციებში ჩარევის სურვილს უჩენს. გარდა ამისა, ფარმაკოფირმებისთვის უზარმაზარი შემოსავალია. ყველაფერს აკეთებენ, რომ რაც შეიძლება მალე დაამზადონ და გაასაღონ ნაწარმი.

— ბავშვებთან დაკავშირებით რა ხდება?

— იგივე ოქსფორდის კვლევის დასკვნაში წერია, რომ ბავშვებზე ექსპერიმენტი დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ ვაქცინის შესახებ ყველაფერი ცნობილი იქნება!!!

— რას გულისხმობენ?

— ბევრი რამ სრულიად გაუგებარია. მეცნიერებს, რომლებიც ამ საკითხზე საუბრობდნენ და კითხვებს სვამდნენ, ავიწროვებენ, ლიცენზიას ართმევენ ან ფიზიკურად უსწორდებიან. დამოუკიდებელ ლაბორატორიებს, რომლებსაც შეუძლიათ გადამოწმება, კეტავენ. მასალებს ინტერნეტიდან აქრობენ.

ვაქცინაზე რომელიც ჯერ შესწავლილი არ არის და არც იციან რამდენად ეფექტური, უსაფრთხო იქნება, უკვე ასეულ მილიონობით დოზაზე შეკვეთა მიღებულია. დამზადებაც დაწყებულია! ჩნდება კითხვა არამარტო ვაქცინის მწარმოებელი კომპანიების, არამედ ამერიკის ჯანდაცვის მარეგულირებელი სისტემების და ჯანმოს მიმართაც, რომლებიც გაუგებარია რის საფუძველზე იღებენ ამ ჯერ გამოუცდელი ახალი ვაქცინების მასიურად გამოყენების გადაწყვეტილებას. თუ ამ ვაქცინამ არ გაამართლა, მერე რა მოჰყვება ამ ყველაფერს?! დამზადებული განადგურდება და ამ ვაქცინების წარმოება შეწყდება?! რა თქმა უნდა, ისინი ასეთ ზარალზე არ წავლენ.

რაც შეეხება ბავშვებს, მათზე კვლევები და ექსპერიმენტები ამერიკასა და ევროკავშირის ქვეყნებში აკრძალულია. ამისთვის არსებობს მე-3 კატეგორიის ქვეყნები, სადაც შეიძლება, მასიური იმუნიზაციის სახელით, ამ ვაქცინის აპრობაცია ჩაატარო, წაიღო დასკვნები რომ არავინ არ დაშავებულა და თქვა, რომ ეს ვაქცინა უსაფრთხოა. ჩვენს მოსახლეობაზე არაერთი წამლის გამოცდა ხდება და განსაკუთრებით, ბავშვებზე სხვადასხვა „პროგრამების“ და საქველმოქმედო აქციების სახით.

ასეთი მასიური გამოცდებისთვის კი საჭიროა აცრები სავალდებულო გახადონ, რადგან ბევრს არ სურს, რომ მის ბავშვს ეს ვაქცინა უშხაპუნონ. მაგრამ ვერ აიძულებენ, რადგან ეს შეუსაბამობაში მოდის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციასთან და სხვა დოკუმენტებთან. მაგრამ აქაც არის გამოსავალი — საჭიროა პანდემია!!! ამ დროს შესაძლებელია იძულებითი წესით აცრების გამოცხადება. არ დაგავიწყდეთ, რომ სიამაყით გვაძახებენ, რომ ჩვენ დაგვდეს პატივი და მიგვიღეს წამლის გამოცდის საერთაშორისო ე.წ. სოლიდარობის პროგრამაში! შედეგად, კვლევების ჩატარება ჩვენი ვალდებულებაა, რომელსაც ვერსად გავექცევით. ახლა, მაგალითად, კოვიდ — 19-ის სამკურნალო ოთხი წამლის გამოცდა მიდის.

— მართლა ასეთი საშიშია დღევანდელი მედიცინის პირობებში ეს ვირუსი?

— რა თქმა უნდა, არა. ამას აცხადებენ ჩვენი ინფექციონისტები. ლევან რატიანი დიდი ხანია ამას ამბობს და იმ ფონზე, როცა სხვები გვზაფრავენ, იგი გვამშვიდებს: ნუ გეშინიათ, თუ დაგემართათ მოგარჩენთ, ვიცით ამ ვირუსს როგორც უნდა ვუმკურნალოთო. უმრავლესობა ვისაც ეს ვირუსი ტესტირებით აღმოაჩნდა, სრულიად ჯანმრთელია. ხოლო ვისაც მძიმე ფორმით დაემართა, ჩვენმა ექიმებმა თავიდანვე აუღეს ალღო ამ ვირუსს და მიაგნეს მკურნალობის სწორ ტაქტიკას, რაც შედეგებმა დაადასტურა. მაგრამ იმის ნაცვლად რომ ჩვენგან გადაეღოთ მკურნალობის ტაქტიკა, თითი დაუქნიეს — როგორ გაბედეთ და იაფიანი წამლებით მოარჩინეთ ადამიანები მაშინ, როცა ფაუჩის გუნდი და ჯანმო რენდოსივირს უწევდნენ რეკომენდაციას ანუ, ლობირებას! მოგვიწოდებდნენ გამოგვეყენებინა პრეპარატი,

რომელმაც არცერთ ეტაპზე არ გაამართლა, მაგრამ გაიდლაინში მაინც იყო ჩართული. იმ იაფიან პლაქვილინს კი რომელიც გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა ბრძოლა გამოუცხადეს და ჯანმომ საერთოდ აკრძალა! ის, რომ ჩვენები არ დაემორჩილნენ და სხვა გზით წავიდნენ, რადგან პაციენტის ინტერესები ცნობილი ფირმის ინტერესზე წინ დააყენეს, მათთვის ბევრი უსიამოვნების მიზეზი გახდა. ხოლო ის ვინც ხმამაღლა განაცხადა, რომ არ ეთანხმება ნაჩქარევად შექმნილი ვაქცინით სავალდებულო ვაქცინაციას, მუშკეტერების რიგებიდან გარიცხეს!

— სავალდებულო აცრები რას ნიშნავს?

— იმას რომ შეიძლება ჯარიმები და სანქციები დააწესონ. იძულების ბევრი მექანიზმი არსებობს, ბევრნაირად შეგვავიწროვებენ. შეუძლიათ ბავშვებს გაუკეთონ ყველაფერი, რასაც ვიღაც გადამთიელი ქველმოქმედები გადაწყვეტენ. აცრაზე უარის თქმის შემთხვევაში შეუძლიათ „დაიცვან“ ბავშვი ასეთი მშობლისგან და წაართვან მშობელს, რის უფლებასაც იძლევა იუვენალური კანონი, რომელიც უკვე ძალაში შედის.

— რატომ ფიქრობთ რომ ვაქცინაცია იძულებითი იქნება?

— იმიტომ, რომ ეს ბილ გეითსის პროექტია. ის არის ვაქცინაციის გლობალური ალიანსის GAV-ის დამფინანსებელი, რომელიც ზრუნავს ღარიბი, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის მასიური ვაქცინაციის უზრუნველყოფაზე. ივნისში ჩატარებულ სამიტზე ამ მიზნებისთვის 8 მილიარდ 800 მილიონი შეგროვდა. მასში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა 58 სხვა ქვეყანასთან ერთად. ასე, რომ ჩვენც გვავალდებულებენ ავიცრათ. მაგრამ როგორც სჩანს, ეს თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი და ჩვენ მთავრობას დაეკისრა დამატებითი თანხების გადარიცხვა, რაც ამ დღეებში იგეგმება. როგორც ბილ გეითსი აცხადებს: 7 მილიარდი ადამიანი უნდა იყოს აცრილი. მაგრამ იგი კარგად ხედავს, რომ ძალიან ბევრი არ მოისურვებს აცრას. სწორედ ამისათვის არის საჭირო შეზღუდვები, რამაც ისეთი დისკომფორტი უნდა შეუქმნას ადამიანებს, რომ იხვეწებოდნენ გაგვიკეთეთ აცრები, ოღონდ კი ნორმალური ცხოვრების წესი დაგვიბრუნეთო. ხოლო მათთვის ვინც მაინც არ დაემორჩილება, ისეთ სანქციებს შემოიღებენ, რომ იძულებულები გახდნენ ვაქცინის გაკეთებას დათანხმდნენ. აუცრელობისთვის უნდათ ისეთი ჯარიმა დაადონ, რომ ყველამ ვერ შეძლოს თანხის გადახდა. მაშინ გამოვა, რომ გადარჩენა მდიდრების პრივილეგია იქნება?!

— რამდენად შეესაბამება სიმართლეს ინფორმაცია, თითქოს, საქართველოში იმიტომ არის კოვიდის ცოტა შემთხვევა, რომ ყველას BCG-ს აცრა გვქონდა გაკეთებული?

— არა. ამის პროპაგანდა დაიწყეს, მაგრამ მალევე გაჩერდნენ. ეს ძალიან სულელური არგუმენტი იყო. საბჭოთა კავშირში ამ ვაქცინით ყველას ცრიდნენ. საქართველოში ყოველთვის ნაკლები იყო აცრილი, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. მაგ ლოგიკით რომ ვიმსჯელოთ მაშინ იქაც ასეთივე სიტუაცია უნდა ყოფილიყო. აბა, ნახეთ რა ხდება რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში.

ბოლოს, ერთი პატარა დეტალი მათთვის ვინც მხსნელ ვაქცინას მოუთმენლად ელის: მწარმოებელმა ფირმამ **AstraZeneca** განაცხადა, რომ ის იხსნის ყველანაირ პასუხისმგებლობას (როგორც იურიდიულს, ასევე ფინანსურს) ამ ვაქცინის შედეგებზე და მოსალოდნელ გართულებებზე. მან დამკვეთი ქვეყნების მთავრობებს მოსთხოვა, რომ ყველანაირი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ, მათ შორის, დაზარალებულთა ფინანსური კომპენსაცია. ასეთი პრაქტიკა ზოგ ქვეყანაში არსებობს და საკმაოდ სოლიდურ თანხებსაც უხდიან ვაქცინაციით დაზარალებულთა ან დაღუპულთა მშობლებს. ჩვენთან ასეთი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს.

მინდა, ოპტიმისტურ ნოტაზე დავამთავრო და ბოლო სიახლე გაგიზიაროთ. ბერლინის მიტინგის შედეგად გერმანიის მთავრობამ ბოდიში მოიხადა მომიტინგეების მიმართ ძალის გადამეტებისთვის, ხოლო ჯანმომ ვაქცინაციის ვადების გადატანა გადაწყვიტა წლის დასაწყისიდან წლის მეორე ნახევარში. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ძალა ერთობაშია და თუ დავძლევთ შიშს ჩვენს გენს ვერავინ გადააკეთებს!

თამარ შველიძე
555 23 28 24

ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!

აბა, მოქუჩდით აქეთ, უნდა გაცინოთ!

შენ... აი, შენ, ვისაც ეხლა გაზეთი გიჭირავს ხელში, სხვებსაც ხმამაღლა წაუკითხე.

მაშ ასე... რამდენიმე დღის წინათ „გალელოებული“ ფიქრია ჩიხრაძე გამოვიდა სპეციალურად გამზადებულ ტრიბუნაზე და განაცხადა, ხალხი ახალ სახეებს ითხოვსო. ცოტა ადრე იგივე თქვა ნინო ბურჯანაძემაც, ქართველმა ხალხმა ხმა ჩვენ უნდა მოგვცესო, ხელისუფლებაში მომავალი თაობა უნდა მოვიდესო. მანამდე ექს-კომკავშირელი მამუკა ხაზარაძემ თქვა (უსირცხვილოდ), ბიძინა ივანიშვილი წარსულია, მე კი მომავალი გახლავართო.

ქვეყანა შემოვიარეთ, უამრავ ადამიანს შევხვდით და ქართული საზოგადოება ახალ სახეებს ითხოვს პოლიტიკაშიო ამბობს არა მხოლოდ ფიქრია ჩიხრაძე, შალვა ნათელაშვილიც, რომან გოცირიძეც, დავით ბაქრაძეც, აკაკი ბობოხიძეც, ხათუნა გოგორიშვილიც, სერგო რატიანიც, ზურაბ ჭიაბერაშვილიც, გიგი უგულავაც, ნინო ბურჯანაძეც, გიორგი ბარამიძეც, გრიგოლ ვაშაძეც, გიორგი (ჯუნიორ) ვაშაძეც და სხვებიც.

საზოგადოება ითხოვს და აჰა, ჩვენც მოვედითო, ახალგაზრდული შემართებით, ენერგიით, იდეებით და აღტყინებითო. ჩამოშლილი ქვეყანა უნდა ავაშენოთო, ბიძინა ივანიშვილი უნდა მოვიშოროთო. შალიკო ნათელაშვილი იძახის, არჩევნების მერე მისი კვალი საერთოდ უნდა წავშალოთო. როგორ უნდა წაშალოს? გამოდის, ამდენი პარკები, სკოლები, ეკლესია-მონასტრები, გზები, თეატრები, სტადიონები უნდა დაანგრიოს? კი, მაგრამ ვინ დაანგრევინებს? ამ პიტალოს ჰგონია, საქმე მხოლოდ ბიძინა ივანიშვილთან აქვს — როგორც ჩანს, ზედელაშვილებს, ხარჩილავებს, კალანდაძეებსა და სხვებს არაფრად გვთვლის. არადა, ჩვენ იმისთვის ვარსებობთ, რომ ამათთანა იდიოტებს ქვეყანა არ დავანგრევინოთ!

იცით, ყველაზე ხოხმაობა რა არის? ზოგიერთი ისეთი აპირებს ბიძინა ივანიშვილის კვალის წაშლას, მის ოჯახს თითქმის 20 წელიწადი რომ ინახავდა, ყოველთვიურად 3 ათას ლარს რომ ურიცხავდა. ჩემი აზრით, თუ ასეთებს კვალის წაშლა უნდათ, მაშინ საკუთარი ოჯახებიდან დაიწყონ — რაც მიღებული აქვთ, „დოკაპეიკა“ უკან დააბრუნონ. ეგრეა წესი, აბა როგორ? ბიძინამ ფული მოგცა, შენ პიანინო იყიდე და დაკვრა ისწავლე? ახლა ნება იბოძე, ეგ პიანინო ფანჯრიდან გადმოაგდე (ბიძინას არ სჭირდება), მერე კი დაკვრაც დაივიწყე. თუ წაშლაა, წაშლა იყოს. თუმცა, ჩემო ძვირფასებო, რომელია რამის დამბრუნებელი და უკან მიმტანი? ან კი ვის სჭირდება მაგათი დაბრუნებული და უკან მიტანილი? უბრალოდ, უნამუსობასთან გვაქვს საქმე, თორემ რაის წამშლელები არიან, ეს უტრაკო ყარაჩოხლები?!

გუბაზ სანიკიძემ ისევ აუშვა აფრები — მეო, დიდი გემი გახლავართო, ნავების დრო წავიდაო, შეიძლება უახლოეს პერიოდში ერთ-ერთ დიდ გემზე მიხილოთო. მეტიცო, იდიოტების დრო მიდის, ძლიერების, ანუ ახალი თაობის ეპოქა ბრუნდება და მეც აგერ გახლავართო მე ყოველთვის პრინციპული ვიყავიო... საქართველო არის მოსკოვის გარეუბანიო... თუ სააკაშვილი არ დაბრუნდა, ქართველი ერი გადაშენდება და განადგურდებაო... ბიძინა ივანიშვილისა და ყოფილი პრეზიდენტის შედარება არ შეიძლება, მათ შორის სხვაობა ისეთივეა, როგორც ცა და დედამიწაო.

ჟურნალისტი ჩაეძია, ადრე სააკაშვილს რომ ლანძღავდი, ეგ როგორ იყო, ნეტა მაშინ იყავი გულწრფელი თუ ეხლა ხარ გულწრფელიო?

იცით, რაო? მე ორი პრინციპი მაქვს, ერთი საშინაო, მეორე — საგარეოო, შინაურობაში სხვანაირად ვლაპარაკობ, გარეულობაში კიდე სხვანაირადო.

ამაზე მაგრად ვიცინე, ვიხარხარე... საშინაო და საგარეო პრინციპები მაქვსო, ხალხო!

ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ ვფიქრობდი, გუბაზის ერთი-ორი კრამიტი მაინც ექნება მთელი-მეთქი, თურმე ყველა დაცურებული და დალეწილი ჰქონია.

დავით ბაქრაძე გახსოვთ? ტიპს ყველაზე დაბალი რეიტინგი აქვს და ყველაზე მაღალს უწერენ. ეგეც იძახის, მომავალი თაობა ვარ ხათ(ქ)უნა გოგორიშვილთან ერთადო... მეტიცო, თქვენი კომპასი უნდა ვიყოო.

კინაღამ მოვკვდი სიცილით, ვხარხარებ, დავით ბაქრაძე (ეს ხაზის რადიო), რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში მოგვიწოდებდა, რუსებს დანებით, ჩანგლებით, ფიწლებით და თოხებით ებრძოლეთო, ეხლა გვეუბნება, თქვენი კომპასი, ჭოგრიტი და ყურებიანი ქუდი ვიქნებიო. არჩევნების წინა დღეს იტყვის, ჩიბუხის მაგივრობასაც გაგიწევთო, აგერ თქვენ და აგერ მე. ამათ ნამუსი საერთოდ „ჩკა“, ოღონდ ძალაუფლება მოიგდონ ხელში, ტუალეტის ქაღალდის მაგივრობასაც დიდი სიამოვნებით გასწევენ!

ჩვენში არიან ე.წ. ახალი თაობის პოლიტიკოსები, რომლებიც სადღაც გადაიკარგებიან ხოლმე (ძირითადად უკრაინაში) და ყოველი არჩევნების წინ ჩამოდიან. თან ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს შარშან არ გამოქანდნენ „რაზგონით“ და შემდეგ დამარცხებულები უკან არ გაბრუნდნენ ღიპიანი ყმაწვილებივით. ასეთი სპორტის მიმდევარი გახლავთ ლევან ვარშალომიძე, აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე. წავა ტიპი უკრაინაში, დანიშნავენ ვითომ რაღაც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, იჯახირებს, იბოდიალებს, ჩამოვა ისევ ბათუმში და დახვდება მურმან დუმბაძე. აგერ, ეხლაც ეგრე მოხდა, დაბრუნდა ვარშალომიძე, რიგით მეოთხე თუ მეხუთე აღმაშენებელი და განაცხადა მე მინდა ვუთხრა ქართველ ხალხს, აქ ჩამოვედი დიდი ბრძოლისთვისო!

დახვდა მურმანი (ძირმაგარ იღლიაური) აღტყინებით: ისაო, ლევან ვარშალომიძე არ არის მარტო სახელი და გვარი, ეს არის შინაარსი, მას კონკურენტი არ ჰყავსო, ნებისმიერს მოუგებს და ბიძინა ივანიშვილსაც ბეჭებზე გააკრავსო. ამას ხომ საერთოდ დამტვრეული ჰქონდა ყველა კრამიტი, ახლა კომპასი და ჭოგრიტიც დაკარგა, დარჩა მხოლოდ პაპას ნაჩუქარი ყურებიანი ქუდი.

ერთი საუდუმლო უნდა გაგანდოთ: საერთოდ, ჩემთვის გავარვარებულ „ნაციონალზე“ უფრო მიუღებელია „ქართული ოცნებიდან“ წამოსულ-გამოგდებული. „ნაცებისა“ მესმის, სექტის წევრები არიან და თავიანთი „ტაში, კუკური“ აქვთ, მაგრამ ადამიანი, რომელიც 2012 წლიდან ან 2016 წლიდან პარლამენტში იჯდა, ბიძინა ივანიშვილის მუხლების დაკოცნვას ლამობდა და ეხლა იგივე ბიძინა ივანიშვილს აგინებს, ამაზრზენი სანახავია. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ ვინმე ლევან კობერიძე, რომელიც იქამდე მივიდა, ასეთი რამე იკადრა:

„ოცნებამ” იმდენად მოკავშირედ გაიხადა კორონავირუსი, რომ ვირუსმაც სიყვარულით უპასუხა და „ქართული ოცნების” ოფისიდან დაიწყო პოლიტიკურ სპექტრში დაინფიცირება“.

მაგარი უნამუსო ყოფილა ეს ადამიანი... შეათრიეს, დასვეს, ასვეს, აჭამეს, გაასუქეს, მიიხედმოიხედა, იფიქრა, ეს ყველაფერი დავიმსახურე, მეტიც შეიძლებოდაო. წავიდა, ტელევიზორში იმატრაკვეცა, იკუნტრუშა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. ამოჰკრეს პანჩური და აჰა, ახლა ყოფილ თანამებრძოლებს ჭორიკანა ქალივით წყევლის. ასეთ სისულელეს „ნაცებიც“ კი არ იკადრებენ... თუ იკადრებენ, მათგან საწყენი არც არი. შენა, ბიჭო, შენ? საიდან მოხვედი, ვინ ხარ, ვის დაჰკარგვიხარ?!

კაი, შევეშვათ უჯიშოთა ამ წყებას, გადავიდეთ მეორე წყებაზე, ანუ შედარებით სხვანაირ ჯიშზე. დავით აქუბარდია როა, ყოველ საღამოს რომ კვნესის ტელევიზორში და ყოველ შაბათ-კვირას ნავთლუღის ბაზარში რომ დადის, ამერიკის ელჩს — კელი დეგნანს მიმართავს, ოღონდ მისი სახელი და გვარი არ იცის:

„მე დაჟინებით ვთხოვ ტელი დაგნარს, ამერიკის ელჩს... ეგება, ქალბატონო ტელი, უშველოთ ქართულ მედიას“.

გინდათ, გაჩვენოთ, როგორია უნამუსობის პიკი? ესე იგი, „ჭუტავიზიის“ ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი ეკითხება გია ბარამიძეს, თქვენ პირადი შეცდომებიდან რას გაიხსენებდითო? ჯერ შეკითხვა რა არი და ახლა პასუხი ნახეთ:

„უნდა გადაგვეღო აფრასიძეების საქმე, თორე ხალხს ატყუებდნენ, მთელი ოჯახი ამოხოცესო... არადა, 3 კაცი მოვკალით“.

გაიგონეთ? მხოლოდ 3 კაცი მოვკალითო, მეტი არაო, მერე რა მოხდაო? კი გითხარით დასაწყისში, მაგრად უნდა გაცინოთ-მეთქი, მაგრამ როგორც ხედავთ, სატირალიც გამოვურიე. უკაცრავად, მე ძალიან მაინტერესებს, რატომ არ ლპება ეს არსება ციხეში? ამბობენ, აფრასიძეების საქმეზე გამოძიება მიმდინარეობსო, რა დიდი გამოძიება მაგას უნდა? მოწმეები არიან, ვიდეოები არსებობს, ფაქტები ხელის გულზე დევს!

და ბოლოს... მოდით, მხიარულ ტალღაზე დავამთავროთ: თურმე მალხაზ მაჩალიკაშვილი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობს. როგორც ერთ-ერთ სააგენტოს განუცხადა, მისი მიზანი მაღალი თანამდებობის დაკავება არ არის. ნახეთ, რა მაგრად ჟღერს „მაღალი თანამდებობა“. კი, მაჩალიკაშვილს თავისუფლად შეუძლია რბილ სავარძელში ჩაჯდომა და ქვეყნის მართვა, მაგრამ ამ ეტაპზე თავს იკავებს. კი, ბატონო, მე ვიზიარებ მშობლის ტკივილს, მაგრამ როცა ადამიანმა თავისი ადგილი არ იცის, ეს უკვე სასაცილოა. ხვალ რომ მალხაზ მაჩალიკაშვილი გამოვიდეს და განაცხადოს, მომავალი თაობის წარმომადგენელი გახლავართო, არ გამიკვირდება.

ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან — ფიქრია ჩიხრაძე? მამუკა ხაზარაძე? დავით უსუფაშვილი? გიგი უგულავა? გრიგოლ ვაშაძე? ბაჩუკი ქარდავა? გიგა ბოკერია? შალვა ნათელაშვილი? ხათუნა გოგორიშვილი?

მაშ, მტყუვნის!!!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

„თუ არჩევნებში ბაიდენი გაიმარჯვებს, ამერიკას ჩინელები დაეპატრონებიან“

„... არეულობები და დარბევები, რასაც ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვხედავთ სამი თვის მანძილზე, არასწორი, მცდარი იდეოლოგიის შედეგია. სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდებს მეთოდურად უნერგავენ აზრს აშშ-ი რასისტული, არასამართლიანი ქვეყანაა... ზოგიერთი ამერიკელი ლიბერალი ცდილობს მონსტრად წარმოაჩინოს პოლიცია, სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანიზაციები. შედეგად მივიღეთ დარბეული ქალაქები, დამწვარი ქუჩები“ — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ვისკონსინის შტატის ქალაქ კენოშაში ყოფნისას.

შტატში, კონკრეტულად კენოშაში ჩასვლის სურვილი დონალდ ტრამპმა რესპუბლიკური პარტიის ყრილობის მსვლელობისას, არეულობის დაწყებისთანავე გამოთქვა. თუმცა, ადგილობრივი, შტატის მმართველობა არ ურჩევდა, შეიძლება ითქვას ეწინააღმდეგებოდა კიდეც მის შტატში ჩასვლას. პრეზიდენტმა ყური არავის დაუგდო და ეწვია ქალაქს. ძნელი სათქმელია, რატომ არ უნდოდათ ტრამპის ჩასვლა შტატის ხელისუფლებას — ეშინოდათ შეიქმნებოდა გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი სიტუაცია, თუ არ სურდათ პრეზიდენტს ენახა რეალური სურათი. ერთიც სათქმელია — ქალაქში რონალდ რეიგანის შემდეგ პრეზიდენტთაგან არავინ ყოფილა.

კენოშაში დონალდ ტრამპმა პირადად მოინახულა დარბეული ადგილები. ქალაქში 30-ზე მეტი

მაღაზია, ათეულობით ავტომობილებია დამწვარი. ნანახის შემდეგ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მომხდარი არა რასიზმთან ბრძოლა, არამედ შიდა ტერორიზმია. კენოშაში გამართულ თათბირზე უმოქმედობის გამო მკაცრად გააკრიტიკა ადგილობრივი ხელისუფლება. პოლიციის მონაცემებით გაირკვა, დაკავებულთა 60%-ზე მეტი სხვადასხვა შტატებიდან და ქალაქებიდან იყვნენ ჩასულები. მოინახულა და მადლობაც გადაუხადა კენოშაში მივლინებულ ფედერალურ სამხედროებს. მოსახლეობას და ბიზნესმენებს დონალდ ტრამპი ზარალის ანაზღაურებას დაჰპირდა, რისთვისაც 50 მილიონი დოლარი უკვე გამოიყო.

მოსახლეობა, პრეზიდენტის კენოშაში ჩასვლას სხვადასხვაგვარად შეხვდა. შავკანიანების უმრავლესობა მის სტუმრობას აპროტესტებდა, ტრამპს რასისტსაც უწოდებდნენ. თეთრკანიანები კი მადლობლები იყვნენ, პრეზიდენტმა ჩამოსვლით მშვიდობა მოგვიტანაო, აცხადებდნენ. საინტერესო იყო ერთი სიუჟეტი — თეთრკანიანი პენსიონერი ქალბატონი შეეცადა აეხსნა შავკანიანი ახალგაზრდებისთვის, რომ მხოლოდ შავების კი არა, ყველას სიცოცხლეა მნიშვნელოვანი. თუმცა, უშედეგოდ, შავკანიანები აგრესიულად იყვნენ განწყობილები. ფიზიკური არა, მაგრამ სიტყვიერად მიაყენეს შეურაწყოფა ასაკოვან ქალბატონს. ჟურნალისტებმა პოლიციის უკანონო ქმედებებზე დაუსვეს შეკითხვა დონალდ ტრამპს. პირდაპირ პასუხს მან თავი აარიდა და მოვლენები ზოგადად შეაფასა: „... როგორც ყველა სფეროში პოლიციაშიც არიან. ცუდები და კარგები. ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ“.

ვისკონსინის შტატი „მერყევად“ ითვლება (ასეთი კიდევ 15-ია აშშ-ი), ანუ ნებისმიერ არჩევნებში რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს უპირობო მხარდაჭერა არასოდეს აქვთ. იმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც შეძლებს ამომრჩევლის მიმხრობას. დონალდ ტრამპის ფაქტობრივად წარმატებულ ვოიაჟით შეშინდნენ დემოკრატები. თანაშემწეებმა ჯო ბაიდენს კატეგორიულად მოსთხოვეს ჩასულიყო ვისკონსინის შტატში, რომელიც ხალხში თითქმის არ გადის. ამჯერად, ბაიდენიც ეწვია შტატს, ჩავიდა კენოშაში, ტრამპისგან განსხვავებით დაჭრილის ნათესავებსაც შეხვდა. თუმცა, მხოლოდ საკუთარ მომავალ გეგმებზე საუბრობდა. როგორც გაირკვა, დაჭრილს პრობლემები ჰქონდა კანონთან, პოლიციის მიერ ძებნილი იყო და ამის გამო არ შეხვდა დონალდ ტრამპი მის ნათესავებს.



დარბევა-არეულობები აშშ-ი 100 დღეზე მეტია გრძელდება. მიუხედავად ამისა, ცალკეული შტატების, სადაც სათავეში დემოკრატები არიან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები კატეგორიულ უარს ამბობენ ფედერალური ჯარების შეყვანაზე, თავად უმოქმედოდ არიან, სიტუაცია თვითდინებაზე აქვთ მიშვებული. ამიტომ, დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებით, ასეთ შტატებს შეუწყდებათ სახელმწიფო დაფინანსება. ამერიკელი სამართალდამცავები სიცრუედ მიიჩნევენ ბოლო დროს გავრცელებულ ხმებს, თითქოს ყველა აფროამერიკელი ქუჩაში უიარაღოდ დადის, მტკიცებულებად ე.წ. აქციების მსვლელობისას უმისამართო სროლების გამო დაღუპულ ადამიანებს და დანახშირებულ ობიექტებს ასახელებენ. გავრცელდა სამოყვარულო კადრები, სადაც ჩანს ორ ათეულამდე შავკანიანი ახალგაზრდა ცეცხლსასროლი იარაღის მთელი არსენალით არიან შეკრებილები.

პოლიტოლოგები შიშობენ, რომ აშშ-ი რასობრივი ომის წინაშე დგას. გასულ კვირას პორტლანდში, ერთ-ერთ კაფეში, სადაც ძირითადად თეთრკანიანები იკრიბებიან, შეიჭრა აფროამერიკელების ბრბო და დაარბიეს. ფიზიკურად გაუსწორდნენ ყველა იქ მყოფ თეთრკანიანს ქალსაც და კაცსაც. ასევე დაარბიეს ერთ-ერთი თეთრკანიანის საკუთარი სახლი. საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე თეთრებს უწევთ საკუთარი უფლებების და სიცოცხლის იარაღით დაცვა. თეთრკანიანებს და აფროამერიკელ მოსახლეობაში რომ არის დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი, საყოველთაოდ ცნობილია. ერთმა გაუფრთხილებელმა გასროლამ ადვილი შესაძლებელია სამოქალაქო ომი, არნახული სისხლისღვრა გამოიწვიოს. სწორედ ეს გარემოება აშინებს ამერიკელ პოლიტოლოგებს. ვინ და როგორ შეარიგებს აშშ-ი თეთრკანიან მოსახლეობას და აფროამერიკელებს გამოცანად რჩება.

უცნაურად მიაჩნიათ ექსპერტებს დემოკრატების პოზიცია, რადგან არაფერს აკეთებენ არსებული ვითარების განმუხტვისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში „ცეცლზე ნავთს“ ასხამენ. დემოკრატების კონგრესმენმა ადამ შიფმა გასულ კვირას აშშ-ი შექმნილ არეულობებში რუსეთი დააადანაშაულა, რამაც გააოცა ექსპერტ-პოლიტოლოგები. დონალდ ტრამპის განცხადებით, „...უკვე მომაბეზრებელი გახდა რუსეთზე ამდენი ლაპარაკი... კარგი იქნებოდა მოგვაგვარებინა რუსეთთან ურთიერთობა. ყველა რუსეთზე ლაპარაკობს, ჩინეთს არავინ ახსენებს“. მისივე თქმით, ჯო ბაიდენს მხარს სწორედ ჩინელები უჭერენ, მათ უნდათ მისი გაპრეზიდენტება. „თუ არჩევნებში ბაიდენი გაიმარჯვებს, აშშ-ს ჩინელები დაეპატრონებიან“ — განაცხადა ტრამპმა რესპუბლიკელების ყრილობის დასრულების შემდეგ.

სკანდალში გაეხვია კონგრესის ქვედა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი. ცნობილი გახდა, რომ გასულ კვირას მისი უშუალო ბრძანებით სან-ფრანცისკოში გაახსნევინეს პანდემიის გამო დაკეტილი ერთ-ერთი სილამაზის სალონი, სადაც მხოლოდ მან მოიწესრიგა თავი. ექსპერტების შეფასებით, დემოკრატ სპიკერს, თავის პარტიასთან ერთად შესაძლოა ძვირად დაუჯდეს კანონის დარღვევა, რამაც შესაძლოა საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგზე იქონიოს გავლენა. თუმცა, პელოსი თავს იმართლებს ხაფანგი დამიგესო, მაგრამ ეს უკვე აღარავის სჯერა.

დემოკრატიის მოდელი, რითიც ამაყობდა აშშ-ი ნგრევა — აცხადებენ ამერიკელი პოლიტოლოგები. საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო მწვავდება ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია. საჯილდაო ქვად. კვლავ არჩევნების პროცედურა რჩება. დემოკრატები ჯიუტად ითხოვენ საფოსტო გზავნილებით მისცეს ხმა მოსახლეობამ. ამას პანდემიის გავრცელების საშიშროებით ხსნიან. ფოსტის თანამშრომლები ვერანაირ გარანტიას ვერ აძლევენ, ბიულეტენებს დროულად რომ მიიტანენ. გენერალური პროკურატურის განცხადებით, გასული საუკუნის 70-იან წლებში, ჯიმი კარტერის პრეზიდენტობისასაც ვერ გაამართლა აღნიშნულმა პროცედურამ. იმდროინდელ დარღვევებს ახლაც თურმე ბევრს პოულობენ.

საყოველთაო გაოცება გამოიწვია ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის პოზიციამ. სახალხოდ ურჩია ჯო ბაიდენს დამარცხების შემთხვევაში. არაფრით არ აღიაროს არჩევნების შედეგები და განაგრძოს ბრძოლა. (ფერადი რევოლუციების საყოველთაოდ ნაცნობი სიუჟეტი), რა სახის არ დაუკონკრეტებია. პოლიტოლოგების შეფასებით, ამით დემოკრატები ცდილობენ მართვადი ქაოსის შექმნას.

პოლიტიკური ომი, რომელიც ბელორუსში ერთი თვის წინ დაიწყო, გრძელდება. პრეზიდენტ ლუკაშენკოს გადაყენება ოპოზიციამ ამ დროში ვერ შეძლო. პირიქით, მოქმედი პრეზიდენტი იმყარებს პოზიციებს. გასულ კვირას მოსკოვში ჩავიდა ბელორუსის საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმერ მაკეი, რომელიც შეხვდა თავის რუს კოლეგა სერგეი ლავროვს. მაკეის განცხადებით, ქვეყანამ თავიდან აიცილა ფერადი რევოლუცია და მადლობა გადაუხადა რუსეთის მხარეს თავშეკავებული პოზიციისთვის. ამის გარდა, რუსეთის და ბელორუსის გენერალური შტაბების უფროსები შეთანხმდნენ ერთობლივ სამხედრო წრთვნების გამართვაზე. განცხადებამ პოლონეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების შეშფოთება გამოიწვია. ასევე ცნობილი გახდა, რომ ალექსანდრე ლუკაშენკო უახლოეს მომავალში ჩავა მოსკოვში და შეხვდება რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს. „ფერადი რევოლუციის“ მოწყობის მცდელობით პოლონეთმა და ლიტვამ, ე.წ.ოპოზიციის მფარველებმა და მხარდამჭერებმა ბელორუსი კვლავ რუსეთის ორბიტაზე დააბრუნეს. მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება ყოველდღიურად იცვლება, დაველოდოთ მომავალ სიახლეებს, თუმცა, კარგს რას უნდა ველოდოთ, როდესაც სამყაროში ცოტას ვინმეს თუ გაახსენდა ორი — 1939 წლის 1 და 1945 წლის 2 სექტემბერი მეორე მსოფლიო ომის დაწყების და დამთავრების თარიღები.

გია ბურდული
551 71 27 07

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“ აგრძელებს მაჟორიტარობის კანდიდატების

„ქართულმა ოცნებამ“ ხაშურის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზაალ (ზაზა) დუგლაძე წარუდგინა

კახა კალაძის სიტყვით გამოსვლა ხაშურში

ჩემთვის პატივია, წარვდგე თქვენს წინაშე, ქალაქში, რომელიც, პრაქტიკულად, საქართველოს გულია, ერთნაირად ნაცნობი და ახლობელი, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს თითოეული მცხოვრებისთვის.

სასიხარულოა, რომ სულ რამდენიმე დღის წინ დასრულდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი, როგორიცაა ხაშურის შემოვლითი, 13 კმ-იანი გზის მონაკვეთი. გარდა ამისა, რომ ხაშურში სატრანზიტო მოძრაობა შეწყდება და ქალაქი საცობებისგან განიტვირთება, პროექტი მნიშვნელოვანია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხითაც, რაც პირდაპირ აისახება ადამიანების ჯანმრთელობაზე.

რასაკვირველია, ჩვენ ვიზრუნეთ იმაზეც, რომ ახალი გზის გახსნასთან ერთად, შენარჩუნებულიყო ის ეკონომიკური აქტივობები, რაც უკავშირდებოდა ძველ საავტომობილო გზას ხაშურში, რათა მოსახლეობამ კვლავაც შეძლოს საკუთარი წარმოებული პროდუქციის რეალიზება. შესაბამისად, ახალ გზაზე მოეწყობა სპეციალური სავაჭრო სივრცეები, რომელიც ადგილობრივებს საშუალებას მისცემს, კიდევ უფრო განავითარონ საკუთარი ბიზნესი.

განვითარება ვახსენეთ და შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, შეიძლება ითქვას, ყველა მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული: განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ასევე, ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოყოფილი და დამტკიცებული გრანტები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით. ეს ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ შექმნილიყო სამუშაო ადგილები, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დროთა განმავლობაში დაიძლიოს ქვეყანაში არსებული ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც სწორედ ახალ სამუშაო ადგილების შექმნას უკავშირდება.

დღეს ჩვენ ვიმყოფებით ერთ-ერთ უმშვენიერეს ადგილზე- ქვიშხეთში, კონკრეტულად „რეზორტ მწერლებში“, ეს არის პროექტი, რომელიც განხორციელდა სწორედ სახელმწიფოს თანადაფინანსებით და ხელშეწყობით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრი ასეთი პროექტი უნდა გაკეთდეს ჩვენ ქვეყანაში.

ჩვენ ძალიან ბევრს დავდივართ რეგიონებში, ყველა რაიონსა და ქალაქში ჩავდივართ და როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, მიხარია, თუ რა პროექტებია განხორციელებული და როგორი ხელშეწყობაა სოფლად მცხოვრები ადამიანების მიმართ. ძალიან ბევრი ოჯახი იყენებს იმ პროგრამებს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება. თუმცა ყველა ვთანხმდებით, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები, გამოწვევები და ამ ყველაფერს შესაბამისი პასუხები ჭირდება. ჩვენ ერთიანი ძალისხმევით, ჩვენი 24-საათიანი მუშაობით ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ყველა პრობლემა იყოს გადალახული და ყველა გამოწვევას ჰქონდეს შესაბამისი პასუხი.

თქვენ იცით, რომ 31 ოქტომბერს არის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, მისი მომავალი განვითარებისთვის. დღეს ყველაზე მთავარი, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება, ესაა სიმშვიდე და სტაბილურობა. 2012 წლის შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვედით, ჩვენთვის ყველაზე მთავარი, ღირებული და ამოსავალი წერტილი არის ადამიანი და ადამიანის კეთილდღეობა. ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები, განხორციელებული რეფორმები, ყველაფერი მორგებულია ადამიანზე. მე დარწმუნებული ვარ, ეს განვითარების და სტაბილურობის გზა აუცილებლად შენარჩუნდება და მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, ჩვენი ყოველდღიური ქმედებებით შევქმნათ პატარ-პატარა გამარჯვებები, წარმატებების ისტორიები.

გიორგი გახარიას სიტყვით გამოსვლა ხაშურში

ბევრ ნაცნობ სახეს ვხედავ, ჩვენი გუნდის და ჩვენი კანდიდატის გულშემატკივრებს.

სიმბოლურია, რომ დღეს ხაშურში დიმიტრი ყიფიანის განახლებულ სახლ-მუზეუმში ვიმყოფებით. ეს დიდი პატივია და დიდი წარსულია, რომელსაც გაფრთხილება და ღირსეული გაგრძელება სჭირდება.

მინდა გითხრათ და ერთგვარად, ბოდიშიც მოვიხადოთ ხაშურელების წინაშე, რომ გაგვიგრძელდა წყალმომარაგების პრობლემის მოგვარება. ეს პრობლემები წლებია დგას, მაგრამ გპირდებით, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყება და სრულიად რეაბილიტირებული იქნება ხაშურის, როგორც წყალმომარაგების, ასევე წყალარინების სისტემა და შეიქმნება გამწმენდი ნაგებობა, რომელიც ნორმალურ, თანამედროვე ქალაქს შეეფერება.

ყველამ იცით, რომ მიმდინარეობს სტადიონის რეკონსტრუქცია, პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა, რომელიც მომავალ წელს დასრულდება და რა თქმა უნდა, ბანა. ბანას სამონასტრო კომპლექსი, რომელიც დღეს ჩვენ ვნახეთ, ეს არის ხაშურის გვირგვინი, რომელიც აქ შექმნის ძლიერ საგანმანათლებლო ცენტრს და მისცემს შესაძლებლობას რეგიონს, შეასრულოს ის ფუნქცია, რაც აქვს - ეს არის საქართველოს შუაგული. რა თქმა უნდა, გზაჯვარედინს, რომელიც აქ არის, ისტორიული დატვირთვაც აქვს და რეალურიც, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ კულტურულიც.

ზაალ (ზაზა) დუგლაძე

ყველას კარგად გვახსოვს ხაშურის ინდუსტრიული ფუნქციაც და ყველამ უნდა ვიშრომოთ მის აღსადგენად.

მინდა, ვისაუბრო ხაშურში სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობაზე. ეს ის მუნიციპალიტეტია, რომელმაც ინდუსტრიული პროდუქციით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, რა თქმა უნდა, თბილისი უნდა მოამარაგოს. ამიტომ, ის პროგრამები, რომლებსაც ჩვენ დღეს ვახორციელებთ სოფლის მეურნეობის მიმართულებით, უნდა გავაგრძელოთ. „აწარმოე საქართველოს“ ბენეფიციარები კიდევ უფრო მეტი უნდა იყოს ხაშურში.

ჩვენ დავნერგეთ სიახლე. „აწარმოე საქართველოში“, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ბევრ კარგ პროგრამას ქმნიან იმისთვის, რომ ახალგაზრდებს და არა მხოლოდ ახალგაზრდებს, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ ინიციატივა, რისკი, დაიწყონ ბიზნესი, გახდნენ ფერმერები, მიეხმარონ. ამისთვის გვჭირდებოდა თბილისში ჩასვლა და სხვადასხვა სამინისტროში სიარული. დღეს ჩვენ გავაკეთეთ პროგრამა - „სახელმწიფო შენი პარტნიორი“ და ეს ყველაფერი იქნება თქვენთან, აქ, ქალაქში და მთლიანად გაიშლება გეოგრაფიულად საქართველოში. ადამიანს შეეძლება, მივიდეს საზოგადოებრივ ცენტრში და იუსტიციის სახლში და მიიღოს სრული ინფორმაცია იმ დონემდე, რომ კონტრაქტიც კი გააფორმოს ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის.

რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ წარმოადგენს ხაშურს საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და ზაზა დუგლაძე არის ღირსეული ადამიანი, ამ კუთხის შვილი, რომელიც დარწმუნებული ვარ, იქნება ხაშურელების ღირსეული და ეფექტური ხმა საქართველოს პარლამენტში. მინდა, მას წარმატება ვუსურვო და მინდა ყველანი შევთანხმდეთ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, მაგრამ გავიმარჯვებთ სამართლიან ბრძოლაში. გამარჯვებას გისურვებთ!

ზაალ (ზაზა) დუგლაძის სიტყვით გამოსვლა ხაშურში

მადლობა მინდა გადავუხადო პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” მთელ გუნდს და ლიდერებს, გამოცხადებული ნდობისთვის!

მიხარია, რომ დღეს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ეზოში ვართ, იმ დიდი ქართველის სახლის ეზოში, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა საქართველოს განვითარებისთვის.

თითოეული ჩვენგანის ვალია, ვემსახუროთ და მოვუაროთ ქვეყანას, არ არსებობს სხვა გზა დემოკრატიული და ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისა!

ხაშური ჩემი მშობლიური რაიონია, აქ დავიბადე, აქ ვსწავლობდი და აქ მიწევს დღემდე შრომა, აქედან დაიწყო ჩემთვის სამყაროს შეცნობა და საქართველოს სიყვარული! აქ არიან ადამიანები ვისთან ერთადაც გავიზარდე

ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წარდგენას საქართველოს რეგიონებში

ქართული ოცნება GEORGIAN DREAM
ქართული ოცნება 41
ერთად საქართველოს წარმატებისთვის!

და მიხარია, რომ მათთან ერთდ ვშრომობ ათეული წელია. მინდა, ამ ადამიანებთან ერთად ვაკეთო დაწყებული საქმე!

ჩემთვის ხომ არაფერია უცხო ხაშურის მუნიციპალიტეტში, ვიცი რა გიხარიათ, რა გჭირდებათ, რა უნდა გავაკეთოთ ხვალ რომ უკეთ ვიცხოვროთ.

ძვირფასო საზოგადოებავ!

ვიზრუნებ და მივიღებ მონაწილეობას, რომ ხაშურისა და ქარელის რაიონში გაიხსნას პროფესიული სასწავლებელი ახალგაზრდებისათვის, გადამზადების კურსები მოზრდილთათვის, რომ შემდგომში ადგილზევე იყოს კვალიფიციური კადრები! ეს ხომ დღეს ჰაერივით სჭირდება შრომის ბაზარს.

მივიღებ აქტიურ მონაწილეობას მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებაში. კულტურის, ტურიზმის, სპორტის, განათლების, ჯანდაცვის პროექტების მხარდაჭერაში!

გამოვიყენებ ჩემს გამოცდილებას, რომ გაგრძელდეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“. გვერდში დავუდგები მოსახლეობას, რომ სოფლებში აღდგეს ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საკონსერვო წარმოება. ჩვენი მიწის სიმდიდრე და მოსახლეობის შრომა უნდა მოექცეს პატარა საწარმოებში, რომელიც დამატებით შექმნის სამუშაო ადგილებს!

ასევე, უახლოეს დროში მინდა ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში გაიზარდოს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ამიტომაც ვიქნები ოპტიკური ინტერნეტის ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდამჭერი.

მე ვიცნობ ხაშურელებს, ბევრი ყოფითი პრობლემა დაძლიეს უახლოეს წარსულში აქ მცოვრებმა ადამიანებმა თავისი შრომით და გონიერებით!!! მე ვიცი თქვენი ერთგულება, შრომისმოყვარეობა და მინდა ერთად გავაგრძელოთ ამ კუთხეზე ზრუნვა, რომ ჩვენმა შვილებმა უკეთ იცხოვრონ! ხანდაზმულებს, კი ღირსეული სიბერე ქონდეთ!

მზად ვარ დიალოგისთვის და თქვენთან ერთად შრომისთვის.

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერებმა კასპის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი ხოჯევანიშვილი და კასპის მერობის კანდიდატი ვახტანგ მაისურაძე წარუდგინეს

გიორგი გახარიას სიტყვით გამოსვლა კასპში

დიდი პატივია აქ, ჯამბაკურ-ორბელიანის სახლ-მუზეუმში ყოფნა. გარდა ამისა, ლამისყანაში საოკუპაციო ხაზიდან აქვე, ხელის გაწვდენაზე. დიდი პატივია და პასუხისმგებლობაც რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილის სამშობლოში ყოფნა და თქვენთან საუბარი და რაც ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, გიორგი მაზნიაშვილის სამშობლოში ყოფნა.

შეუძლებელია, ამ გარემოში, ამ სახლ-მუზეუმში, არ გავიხსენოთ 2008 წლის აგვისტო და ის გმირი ქართველები, რომლებმაც ქვეყნის ერთიანობისთვის სიცოცხლე გაწირეს.

საერთოდ, ადამიანი, ფერმერი, გლეხი, იქნება სახელმწიფოს, მთავრობის ყურადღების ცენტრში, ვიდრე ის ფეხზე არ დადგება, არ გაძლიერდება და არ შეძლებს თავის მეზობელზე თუ ნათესავზე ზრუნვას. ჩვენ მოსახლეობას უნდა მივეხმაროთ, რომ ყოველდღიური ღირსეული შრომით ღირსეულად არჩინონ ოჯახი. ეს არის სახელმწიფოს ვალდებულება და ეს ინფრასტრუქტურა უნდა შევქმნათ. ჩვენ ამას ყოველდღიურად ვაკეთებთ. სახელმწიფო პროგრამებს ვთავაზობთ ადამიანს, რომელსაც სურვილი აქვს იშრომოს, იღვაწოს და შექმნას უფრო უკეთესი ხვალინდელი დღე.

კასპში ბოლო 2 წლის განმავლობაში 436 ჰა ბაღები არის განახლებული პროგრამით - „დანერგე მომავალი“. ეს, რა თქმა უნდა, უნდა გაგრძელდეს და არ უნდა დარჩეს არც ერთი ძველი ბაღი. დღეს კი ვამბობთ, რომ გლეხს გვერდით დავუდგებით და არასტანდარტულ ვაშლს მი-

გიორგი ხოჯევანიშვილი

ვიღებთ იმისთვის, რომ ადამიანის შრომა დაფასდეს, მაგრამ გვერდზე ხომ არის თანამედროვე ბაღი, რომელიც პროგრამით - „დანერგე მომავალი“ გაკეთდა და სულ სხვა სტანდარტებისაა, მას დახმარებაც არ სჭირდება, ევროპული ბაზრისთვის გამზადებული პროდუქტია. ჩვენი ამოცანაა, ამაში მოგეხმაროთ და ყველამ ერთად უნდა ვიშრომოთ იმისთვის, რომ რაც არ უნდა გავაკეთოთ ქართლში, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის დაღუპული ბიჭები და ის ხალხი, რომელიც საოკუპაციო ხაზის მიღმაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ოკუპაცია არ არის ერთი, გამქრალი მოვლენა. ყველამ კარგად იცით და თქვენზე უკეთესად არავინ იცის, რა ხდება - ადამიანების მოტაცება, დატყვევება, დაპატიმრება. დღესაც გვყავს 3 ქართველი, რომლებიც მძიმე დღეში არიან და რომელთაც ყოველდღიურად დახმარება სჭირდებათ. ამიტომ შრომა, კეთილსინდისიერება, ქვეყანაზე ფიქრი და რაც მთავარია, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ რუსული ოკუპაცია ამ ქვეყანაში დასრულდეს მშვიდობიანად, მაგრამ ძალიან მძიმე ყოველდღიური შრომით, იმისთვის, რომ ის წარმატებები და ის ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ ერთად შევქმნით, იყოს არა მარტო ჩვენი, არამედ იყოს ჩვენი ოსი და აფხაზი ძმებისთვის.

რაც შეეხება არჩევნებს, არჩევნები არის კიდევ ერთი ეტაპი, რომელმაც უნდა მოგვცეს შესაძლებლობა, გავაგრძელოთ იმ საქმის კეთება, რომელიც დაწყებული გვაქვს. გიორგი ხოჯევანიშვილი არის ამ კუთხის ღირსეული შვილი. ის რამდენიმე წელი იყო გუბერნატორი. არავინ მასზე უკეთ არ იცის კასპში, გორში, სად რა პრობლემაა. მას არჩევნების მეორე დღიდანვე შეუძლია, დაჯდეს და დაიწყოს იმ პრობლემების მოგვარება, რომელიც აქ არსებობს და დარწმუნებული ვარ, თქვენი ღირსეული ხმა იქნება საქართველოს პარლამენტში. დარწმუნებული ვარ, რომ რაც მთავარია ღირსეულ და სამართლიან ბრძოლაში გავიმარჯვებთ 31 ოქტომბერს, გამარჯვებას გისურვებთ!

გიორგი ხოჯევანიშვილის სიტყვით გამოსვლა კასპში

ჩემთვის ძალიან დიდი პატივია დღეს ვიყო აქ, თქვენთან ერთად და მომავალში მქონდეს საშუალება წარმოვადგენდე პარლამენტში ამ უმნიშვნელოვანეს ქალაქს, რა თქმა უნდა გორთან ერთად.

არ მოგატყუებთ და გეტყვით, რომ ორი წლის წინ დაწყებული საქმიანობა მხარის გუბერნატორის პოზიციაზე ჩემთვის გამორჩეული იყო იმით, რომ მართლაც აღმოჩენა იყო კასპის მუნიციპალიტეტი. ნებისმიერი ცივილიზებული ერის ისტორიას დაამშვენებდა ამდენი ციხესიმაგრე, ისტორიულ-კულტურული ძეგლი, რომელიც მარტო კასპის მუნიციპალიტეტშია თავმოყრილი. ჩვენი ქვეყნის ძლიერებაზე, განათლებაზე, განვითარებაზე ყოველთვის ზრუნავდნენ აქაური თავისუფლებისმოყვარე, მშრომელი, გაუტეხელი და პატრიოტი ადამიანები. ისეთი ადამიანები, როგორებიც იყვნენ გენერალი მაზნიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი სააკაძე, ყველასთვის, კასპელებისთვის ყველასთვის საამაყო ქართველი. თევდორე მღვდლის ისტორია, რომელიც კასპში განვითარდა, მთელი ქვეყნისთვის სამაგალითო იყო და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადამიანების კვალზე გაიზრდებიან ნამდვილი სასიქადულო და წარმატებული ქართლელი, კასპელი ადამიანები და ახალგაზრდები.

მართლაც ძალიან ბევრი რამ კეთდება კასპის მუნიციპალიტეტში. ჩემთვის პატივი იყო, რომ ორი წელი ამ პროექტებს აქტიურად ვადევნებდი თვალყურს, ბევრი ინიციატივაც სწორედ ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად იქნა შემუშავებული. უნდა ითქვას ისიც, რომ ძალიან ბევრი პროექტია, რომელიც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. როდესაც ხვალინდელ წარმატებულ პროექტებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ ავღნიშნო ტექნოპარკი, პროფესიული კოლეჯი, ახალი სტადიონი. ეს ის პროექტებია, რომლებიც ჩემი წინამორბედის და მოქმედი მაჟორიტარის, ირაკლი მეზურნიშვილის მხარდაჭერით ხორციელდებოდა. ჩვენ ერთად, გუნდური მუშაობით შევძელით ამ პროექტების რეალიზება და საამაყოც არის, როდესაც ჩვენ განათლების აუცილებლობაზე ვსაუბრობთ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ სოფლის მეურნეობა უნდა იყოს მხარდაჭერილი.

კასპის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის კუთხით მართლაც დიდი პონტენციალია. საჭიროა პროფესიონალი ადამიანები და სწორედ ესეთ პროფესიონალ ადამიანებს გადაამზადებს პროფესიული კოლეჯი. გვერდით იგივე სივრცეში იქნება ტექნოპარკი, რომელიც ნებისმიერი ინოვაციის, ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის იქნება ხელმისაწვდომი და სხვადასხვა ინოვაციურ იდეებს დააფინანსებს.

რა თქმა უნდა, უნდა შევეხოთ დევნილების საკითხს და ოკუპაციას, რომელიც მართლაც განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა კასპსა და გორში. დავეთანხმები წინა გამომსვლელებს და გეტყვით, რომ ჩვენ ერთობით, ერთად დგომით შევძლებთ ქვეყნის დეოკუპაციას. რა თქმა უნდა, ამისთვის აუცილებელია შესაბამისი განათლება, კვალიფიკაციის მქონე ადამიანები და შრომა, რომელიც ჩვენ ნამდვილად არ გვეზარება და პირიქით, ამისთვის ვართ მომართულები. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში აქტიურად ვიქნები ჩართული იმ პროექტების რეალიზებაში, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს სხვადასხვა მიმართულებით მათ შორის ტურიზმი, ეკონომიკის გაძლიერება, სოფლის მეურნეობა და აუცილებლად ერთობლივად ბევრ წარმატებულ პროექტს განვახორციელებთ.

არ დაგიმალავთ ასევე და გეტყვით, რომ კასპელი სპორტსმენები მართლაც გამორჩეული და განსაკუთრებული ადამიანები არიან, ვისაც ყოველთვის ვუცხადებდი მხარდაჭერას და შემდგომი წლების განმავლობაშიც ვაპირებ, რომ ასე გავაგრძელო. ალბათ ამის გამოხატულებაა, რომ დღეს ჩვენ კასპში გვაქვს თანამედროვე სტანდარტების სტადიონი, რომელზეც ძალიან ბევრი ახალგზარდა აღიზრდება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. მე ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი გვერდზე დგომით ჩვენ ერთად ყველა გავიმარჯვებთ და ერთად ვიქნებით ყველა ფრონტზე, მათ შორის საქართველოს გამარჯვების ფრონტზე.

®

გინდათ, გესაუბროთ ჭეშმარიტ ღმერთზე? ანუ „ნაცები“ – ახალი ტიპის იეღოველები არიან

ამასწინათ ერთი ქალბატონი მეწვია რედაქციაში — ამა და ამ კომპანიიდან ვარ, სოციოლოგიურ გამოკითხვას ვატარებ და იქნებ 15 წუთი დამითმოთო.

არ მცალია, ქალბატონო-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ არ მომეშვა — ძალიან, ძალიან გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით, ერთი ანკეტის შევსებაში ექვსლარნახევარს მიხდიან, მთელი დღეა დავდივარ და ჯერ ვერაფერი გავაკეთე, ყველა უარს მეუბნება,

თქვენ მაინც ნუ გამიშვებთ ხელცარიელსო, — ისე საწყლად მითხრა, გული დამეწვა.

— ექვსლარნახევარი რაღა ჯანდაბაა... ასეთ ცნობილ და სოლიდურ კომპანიას, დავიჯერო, ისე უჭირს, რომ ექვსლარნახევრად დაარბენინებს ადამიანებს აღმა-დაღმა? — გავბრაზდი.

— რა ვიცი, ბატონო, ასეთი ტარიფი აქვთ დადგენილი... თანაც შეზღუდული ვართ რაოდენობაში და რაღაც მიზერული თანხა გამოდის, მაგრამ, რა ვქნა, სულ არარაობას ხომ ჯობია?

დავიწყეთ ანკეტის შევსება — ქალბატონი კითხვებს სვამდა, მე ვპასუხობდი, მაგრამ კითხვები ისე უაზროდ და აბდაუბდად იყო შედგენილი, რომ პასუხების გაცემა გამიჭირდა.

— ვინ ადგენს ამ ანკეტას, ვინ წერს ასეთ სისულელეებს-მეთქი, — ვიკითხე.

— რამდენადაც ვიცი, უცხოეთიდან, სათაო ოფისიდან მოდის ჩარჩო ტექსტი, აქ ქართულად თარგმნიან და ქართული რეალობის ამსახველ ინფორმაციებს დებენ შიგ, ქართულ რეალობასთან შესაბამისობაში მოჰყავთ ანკეტაო, — მიპასუხა.

გავაგრძელეთ ანკეტის შევსება.

— ახლა მე თქვენ ჩამოგითვლით პოლიტიკური პარტიების სიას და მიპასუხეთ, რომელი პარტიაა აქედან ყველაზე გამოცდილი და ყველაზე სტაჟიანი?

ჩამოთვლილი სიიდან ყველაზე სტაჟიანი „ნაცმოძრაობა“ იყო და მეც ასე ვუპასუხე: „ნაცმოძრაობა“-მეთქი.

— მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რომელ პარტიას ანდობთ ქვეყნის ბედს — ყველაზე გამოცდილს და სტაჟიანს?

— გააჩნია რაშია ყველაზე გამოცდილი და ყველაზე სტაჟიანი? ქვეყნის აოხრებაში? ადამიანების წამებაში? ყაჩაღობასა და ბანდიტობაში?

— გიორგი ქადაგიძე თუ გხსენიათ?

— ვინ არის გიორგი ქადაგიძე?

— ბანკის პრეზიდენტი რომ იყო....

— კი, კი... — გამახსენდა.

— რას იტყვით გიორგი ქადაგიძე პოლიტიკაში რომ მოვიდეს? მიესალმებოდით ამ ამბავს?

— გიორგი ქადაგიძის ციხეში ჩასმას კი მივესალმებოდი, პოლიტიკაში მოსვლას — არა!

— გასაგებია... გასაგებია... მაშინ ამ კითხვაზე მიპასუხეთ: როგორ აფასებთ ქართულ პოლიტიკაში ქართველი პოლიტიკოსი ქალბატონების — სალომე სამადაშვილის, თინათინ ბოკუჩავას, ელენე ხოშტარიას, ხათუნა გოგორიშვილის, ირმა ნადირაშვილის როლს?

— უარყოფითად!

— ვის ისურვებდით საქართველოს პრემიერ-მინისტრად — მიხეილ სააკაშვილს? გიორგი ვაშაძეს? დავით ბაქრაძეს?

— გიორგი გახარიას!

— კარგით... კარგით... როგორც ვიცით, მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ბრუნდება! რა დადებით როლს შეასრულებს მისი დაბრუნება ქვეყნის ცხოვრებაში?

— მის დაბრუნებამდე არაფერი გეტკინოთ, ქალბატონო.

— რას მიანიჭებდით უპირატესობას — ერთპარტიულ მმართველობას თუ კოალიციურ მთავრობას?

— მოცემულ სიტუაციაში ერთპარტიულ მმართველობას და, მოდით, აქ დავამთავროთ და შევწყვიტოთ ინტერვიუ.

— ვაიმე, რატომ?

— „ნაც.მოძრაობიდან“ ხართ თქვენ, ქალბატონო და იმიტომ!

— არა, რას ამბობთ... ჩვენი ორგანიზაცია საერთაშორისო ორგანიზაციაა და უამრავ ქვეყანაში აქვთ თავიანთი ფილიალები. შვილებს გეფიცებით, არ ვარ „ნაცმოძრაობიდან“.

— აბა, ამ „ნაციონალური“ ქვეტექსტების შემცველი კითხვები საიდან გაჩნდა თქვენს ანკეტაში.

— არ ვიცი... ოფისში დაგვირიგეს ეს ანკეტები... ძალიან გთხოვთ, სულ რამდენიმე კითხვა დამრჩა, როგორმე დამამთავრებინეთ ეს ანკეტა... ხომ გითხარით, დღეს მთელი დღე ტყუილ-უბრალოდ ვირბინე... ძალიან გთხოვთ, ძალიან...

ცხადი იყო, ინტერვიუ რომ შემეწყვიტა, ეს ქალბატონი იმ ექვსლარნახევარსაც დაკარგავდა...

— საკუთარ თავს ვძლიე და ბოლომდე პატიოსნად ვუპასუხე ყველა კითხვას...

„ნაციონალებო“, თქვე გათახსირებულებო, ყველგან თქვენ როგორ ხართ და ყველა ხვრელიდან თქვენ როგორ ყოფთ თავს გველის წიწილებივით?

„ნაციონალებო“, თქვე უნამუსობო, ამ გაჭირვებულ, დამშეულ და გასაცოდავებულ ადამიანებს თქვენი შავბნელი საქმეებისთვის რომ იყენებთ, ცოტაოდენი ფული მაინც მიეცით, ექვსლარნახევარი რაღა არის, თქვე მართლა უღმერთოებო.

„ნაცები“ ახალი ტიპის იეღოველებად იქცნენ, რომლებიც „ჭეშმარიტ“ ღმერთზე გესაუბრებიან და ამ დროს „ჭეშმარიტ“ ღმერთში სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“ გულისხმობენ.

ხლისტები

ტელევიზორი ჩავრთე და რას ვხედავ — ერთ პატივცემულ შოუმენს თავის შოუში ცნობილი პოლიტიკოსი და მისი არანაკლებ ცნობილი ცოლი მოუწვევია და ხალისობენ.

ხალისობენო, კი ვთქვი, მაგრამ, სინამდვილეში, „ხალისობს“ მხოლოდ პოლიტიკოსის ცოლი, პოლიტიკოსი და წამყვანი კი რეტდასხმულებივით სხედან და ქალბატონის „ხალისობით“ ტკბებიან.

ქალბატონი კი ერთ ადგილას ვერ ჩერდება, ცქმუტავს, ბორგავს, შფოთავს, ხელფეხს ერთდროულად იქნევს და თავისი ჭკუით ძალიან სასაცილო და კურიოზულ ამბებს ჰყვება, მერე თავისსავე ნაამბობზე თვითონვე კვდება სიცილით, ჩაბჟირდება, სავარძელში ხან აქეთ გადმოგორდება, ხან იქით გადაგორდება და ისეთ არანორმალურ ხმებს გამოსცემს, შეეშინდება კაცს.

— დიპკორპუსის წარმომადგენელთა საპატივცემულოდ გამართულ ვახშამზე დაგვპატიჟეს. ყველანი ცოლებთან ერთად არიან მიწვეულნი. მეც მეორე ნახევრის რანგში ვარ დაპატიჟებული. რაღაც ანეკდოტს მოჰყვნენ, ისე გამეცინა, სკამიდან გადმოვვარდი და კარგა ხანს ვკოტრიალობდი იატაკზე — ჰყვება ქალბატონი და იცინის, იცინის, უფრო ზუსტად, სულს ვერ ითქვამს, იხრჩობა სიცილისგან, ქალბატონის პოლიტიკოსი ქმარი კი ზის სერიოზული სახით და თვალები უციმციმებს — აშკარად უხარია და თავი მოსწონს, ასეთი არაორდინარული, ასეთი ექსტრაექსცენტრიკული ცოლი რომ ჰყავს.

ქალბატონი უფრო და უფრო შედის ეშხში და მთლად უმართავი ხდება — ხელებს საოცარი სისწრაფით ატრიალებს, ფეხებს აბაკუნებს და აფხარკალებს, თავს უკან გადააგდებს და ლაპარაკობს და ლაპარაკობს გაუთავებლად, თან იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

— მალე დავამთავროთ გადაცემა, თორემ ამას ისე აქვს აკრეფილი, ვეღარ გავაჩერებთ, — ქმარი ცდილობს ხუმრობაში გადაიტანოს აშკარად მძიმე და უხერხული სიტუაცია.

— კი, ბატონო, დავამთავროთ, მაგრამ მანამდე ერთი შეკითხვა მაქვს ქალბატონთან: თქვენზე ამბობენ, ქმარს მართავსო... მართალია?

— მარტო ქმარს? — გაიოცებს ქალბატონი და ისევ „სიცილის კომაში“ ვარდება.

— ფსიქიატრის დახმარება გჭირდებაო, მეუბნებიან ვიღაცები, — ისევ იცინის ქალბატონი, რითაც ღიად „გვინამიოკებს“ ასეთ ჭკვიანს, ასეთ გონიერს და ერუდირებულს ფსიქიატრი რაში მჭირდებაო?

არადა, ნამდვილად სჭირდება ამ ქალბატონს ფსიქიატრიც, ფსიქოლოგიც, ნევროლოგიც.

ეს ქალი, როგორც იტყვიან, ასპროცენტიანი გიჟია, მაგრამ რამდენად არის ნორმალური ის კაცი, რომელმაც ეს ქალი მოიყვანა ცოლად?

იქნებ, როცა მოიყვანა მაშინ ჭკვიანი იყო და მერე გაგიჟდა?

არა, არა, თავიდანვე ასეთი იყო ეს ქალბატონი, ცოტა უფრო უარესიც.

კაცმა რომ თქვას, ვისი რა საქმეა, ვინ ვის მოიყვანს, ვინ ვისი ცოლია, ვინ ვისი ქმარია და ვინ ვისი საყვარელი, მაგრამ, როცა ადამიანი პოლიტიკაშია, როცა მას პრეტენზია აქვს, რომ ქვეყნის ბედი განაგოს და მილიონების ცხოვრება მართოს, ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც აკვირდებიან გამადიდებელი შუშით პოლიტიკოსს, მის პირად ცხოვრებას, მის უშუალო გარემოცვას იმ ქვეყნებში, რომლებიც ჩვენ მისაბაძად და სამაგალითოდ მიგვაჩნია.

ადამიანი, რომელზეც ამ წერილში ვილაპარაკეთ, არ არის რიგითი პოლიტიკოსი, მას ფრიად სერიოზული და საპასუხისმგებლო თანამდებობები ეჭირა წინა ხელისუფლებაში, ახლა ოპოზიციაშია, მაგრამ იმედი აქვს, რომ ამ არჩევნებში მისი პარტია გაიმარჯვებს და ქვეყნის მმართველი ძალა გახდება, თვითონ ეს პიროვნება კი ქვეყნის წამყვან პოლიტიკურ ფიგურად მოგვევლინება.

აი, მერე ნახეთ თქვენ ამ ალქაჯის გაფრენები, სკამებზე და მაგიდებზე შეხტომა, იქიდან გადმოვარდნა და იატაკზე ფხარკალი.

ამან გარეკა და გარეკოს, მაგრამ ამ გარეკილის მიერ მართულმა პოლიტიკოსმა როგორ უნდა მართოს ქვეყანა, აი, ესაა რომ მაწუხებს, თორემ საკუთარ სახლში თუნდაც ყირაზე დამდგარან, ეგ რა ჩვენი სადარდებელია.

სხვათა შორის, არც ამ პოლიტიკოსის პოლიტიკურ საძმაკაცო-სამეგობროში იყო საქმე უკეთესად.

ხანდახან ვფიქრობ, ქართველები კი არა ხლისტები ხომ არ იყვნენ ეს უპატრონოები — ცოლებს, ქმრებს, საყვარლებს ერთმანეთში რომ ცვლიდნენ, ერთმანეთს საწოლ ოთახებში ფარულ კამერებს რომ უმონტაჟებდნენ და მერე კოლექტიურად რომ განიხილავდნენ ერთმანეთის სექსუალურ აქტებს.

აი, ესენი ახლა უკან, ხელისუფლებაში, აპირებენ მობრუნებას, რომ ქვეყანა კვლავ საგიჟეთად და ერთ დიდ ბორდელად აქციონ.

რეპორტაჟი სოსო ცინცაძის აგარაკიდან

ბოლო ხუთი-ექვსი წელიწადია, პირველ სექტემბერს ბაზალეთის „გარეუბანში“ ვატარებ ხოლმე, პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის აგარაკზე. ეხლაც ეგრე მოხდა, ბატონმა სოსომ 85 წელიწადი დაკეცა და დაბადების დღე ისევ იქ გადაიხადა. გადაიხადა რა, ვიწრო წრეში შევიკრიბეთ, ათიოდენი მოვგროვდით, სულ შინაურები. გარეულების ნერვები აღარ მაქვსო, თანაც უკვე მოვხუცდი და კორონასი მეშინიაო.

კაი აგარაკია, სოციალიზმის პერიოდში მიწის ნაკვეთი მიუციათ, მთელი ცხოვრება უშენებია და ჯერაც არ დაუმთავრებია, გაზი არ იყო, ეხლა შეჰყავთ, ამ ხელისუფლების პირობებში.

აგარაკის გარშემო ტყეებია, გზისპირები კენკროვანი ბუჩქებით არის სავსე – შავი კუნელი, ველური მოცვი და ტყემალი თავზესაყრელია. ვამუნათებ, ამოდენა კენკროვანი კულტურები გაქვს, მოკრიფე, გადაამუშავე, ქვრივ-ობლებს დაურიგე-მეთქი.

ჰო, აეგ არი, ამდენი რაღაცა ტყეებში ლპება და ხალხი ყურადღებას არ აქცევსო, მოსახლეობა გაზარმაცებულიაო.

მეც მაგას არ გელაპარაკები-მეთქი?

იცინის.

ძალიან მომწონს სოსო ცინცაძის ეზო, ბევრი ხეხილი უდგას – ვაშლი, ატამი, ქლიავი, უეკლო მაყვალი, ბალი, თხილი და რა ვიცი, კიდევ ათასი რამე. ვაშლს მაგრად ასხია, ნახევარი ძირს ყრია, ქარს გაუყრევინებია. ისევ ვამუნათებ, წამოკრიფე, გადაამუშავე, ქვრივ-ობლებს დაურიგე-მეთქი.

ნუ გაატრაკე, სადღა მაქვს მაგის თავიო? აგერ, ზემოთ მეზობელ ქალებს ვუთხარი, წაიღეთ, ძროხებს აჭამეთ-მეთქი, არ მოვიდნენ, მე ხო არ მივუტან სახლებშიო? თურმე ადრე მიჰქონდათ, ეხლა აღარ, ეზარებათ. ორი ვარიანტია, ან ეზარებათ, ან კიდევ ძროხები გაყიდეს, ეს ცალკე კვლევის საგანია.

ეეეჰ, ამ ქვეყანაში ყველაფერი ჩემი და ბიძინა ივანიშვილის გასაკეთებელია-მეთქი.

მართალია, ივანიშვილს არ ვუყვარვარ, მაგრამ მაინც ვგულშემატკივრობო. ვაფასებ სოსოს დამოკიდებულებას, 2012-ში ბატონმა ბიძინამ ცოტა ისე მოიხსენია, ღამის სულელი უწოდა, მაგრამ არ გაბოროტებულა, დღემდე თვლის, რომ ის არ იყო ინფორმირებული, უბრალოდ ვიღაცას დაუჯერა.

სოსოსთან ყოველ დაბადების დღეს გურჯაანელი კაკო ჩამოდის ხოლმე, სოფელ ახაშენში აქვს ვენახები და ხეხილის ბაღები, შეძლებული გლეხია. კაკოს წითელი „ზაგარი“ აქვს, კახური. არ გეგონოთ, ხელცარიელი ჩამოვიდეს როდისმე, არაااა, დედას პურიდან დაწყებული, სამწვადითა და ტანინიანი ღვინით დამთავრებული, მისი ჩამოტანილია. თან თვითონვე ტრიალებს ციბრუტივით, შამფურებსაც ატრიალებს ოსტატურად და ღვინოსაც ასხამს კაი ბარმენივით. სხვათა შორის, კაკოს სურსათსანოვაგესთან და კახურ ამბებთან ერთად, ყოველ წელიწადს, თითო პრობლემაც ჩამოაქვს ხოლმე. ეხლაც ჩამოუტანია – ტყეში შესულა უბილეთოდ და მეტყევეს 2 ათასი ლარით დაუჯარიმებია.

– რათ შეხვედი, კაკო ძიავ, ტყეში უბილეთოდ, რათა?! – ვტუქსავ ფორმალურად.

– მამატყუა, იმ შობელძაღლმა, ჯოოო! – იმართლებს თავს. დილაუთენია ავედი სატყეოში. მეტყევეი ვეუბნები, ბილეთი მამეცი-მეთქი. ეხლა ვერ მოგცემ, არა მცალიანო, წადი მოჭერი, შენი შამწუხებელი არა ვარო. წავედი, „დრუჟბა“ ამოვქოქე, ორი ხე მოვჭერი და ეგრევე დამადგა თავზე!

– ვა�ა, მაგარი ჩათლახი ყოფილა!

– უჩათლახესი გამოდგა, რა ვიცოდი?!

– ტყეში უბილეთოდ მაინც არ უნდა შესულიყავი!

– სიტყვაზე ვენდე!

– ეხლა რას აპირებ?

– სასამართლოში ვუჩივლე, სამსახურიდან გაუგდიათ, მოსამართლემ 1800 ლარი დამიტოა გადასახდელათ. ვეუბნები, ბატონო მოსამართლევ, ერთ „კოლხოზნიკზე“ რვა პირი შეშა ვერ დეეტევა, რანაირ დასკვნასა სწერამ-მეთქი? ვერაფერი ვერ გავაგებინე!

კაკო სოსოს დეიდაშვილია. როგორც თვითონ ამბობს, სოსოს იმდენი სიკეთე აქვს დათესილი, ყოველ დაბადების დღეზე რომ მაღარიჩი არ უკისროს, არ იქნება.

მოკლედ, ათნი ვართ – მე, ჩემი ვაჟი, სიმონ კილაძე (ალბათ გახსოვთ, მიხეილ სააკაშვილმა ჯაშუშობის ბრალდებით რომ დააპატიმრა), კაკო, სოსო, სოსოს ვაჟი, სოსოს მძახალი და ორიოდე ძმაკაცი. ბიჭებმა ბულაჩაურიდან ხინკალი ამოიტანეს, ხინკლის უნახავი გახდებოდით, კაკოს ტანინიანმა ღვინომ კიდევ ხომ საერთოდ „დახურა“, გეგონება ქვევრიდან ამ წუთას ამოუღიათო.

სოსო იძახის, მე პოლიტოლოგი აღარ ვარ, ეხლა სანტექნიკოსი გახლავართო.

რათა-მეთქი?

ბოლო წლებში იმდენი პოლიტოლოგი და ექსპერტი გაჩნდა ტელევიზორში, იმათთან თავს უხერხულად ვგრძნობო.

პრინციპში, მეც ეგრე ვარ, ბოლო დროს იმდენი „სახელოვანი“ ჟურნალისტი გაჩნდა ტელევიზორში, ისე მეტყველებენ, ისე აზროვნებენ, ისე დანავარდობენ ეკრანზე, თავს უხერხულად ვგრძნობ.

მიუხედავად ამისა, იყო სოსო ცინცაძესთან და პოლიტიკაზე არ ილაპარაკო, წარმოუდგენელია. როდესაც სტუმრები შემოგვემატნენ, ყველა გააფრთხილა, ზედელაშვილთან გუბაზ სანიკიძეზე ცუდი არაფერი წამოგცდეთ, მაგისი ფანიაო. იმათაც თითქმის დაიჯერეს, უცნაურად შემათვალიერეს, იფიქრეს, გიჟიაო.

ეეეჰ, ბატონო სოსო, მიხეილ სააკაშვილმა წელსაც გაგიცრუათ იმედი, ისევ არ ჩამოვიდა-მეთქი.

– მაიცა, ერთი, რააა! – ავარდა იუბილარი.

– მე ის უფრო მაინტერესებს, მომავალი პარლამენტი როგორი იქნება.

– როგორი იქნება?

– მე მაინც ვფიქრობ, კოალიციური იქნება.

– რას ამბობ, კოალიცია ვისთან, უგულავასთან, ბოკერიასთან თუ ბაჩუკი ქარდავასთან?!

– მესმის, ეს ოპოზიცია არ ვარგა, მაგრამ ამერიკელებისთვის მესამე ვადა მიუღებელია, ამ საკითხს ძალიან ფრთხილად უდგებიან.

– კაცო, რას ამოიჩემეთ ეს მესამე ვადა, ვინ დაადგინა, რომ მესამედ ხელისუფლებაში დარჩენა არ შეიძლება? შენი დაქალი ანგელა მერკელი მერემდენედ ფლობს ძალაუფლებას?!

– ეეე, შენ მაგათ რას უყურებ?

– აბა, ვის ვუყურო?

– ეგ ევროპაა, დალაგებული სიტუაციაა, რა ეტაპსაც ეხლა ჩვენ გავდივართ, მაგათ საუკუნეების წინ გაიარეს.

– ჩემი აზრით კი არა და... დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ უმრავლესობას მოიპოვებს და მთავრობასაც დააკომპლექტებს. რაღა დროს უგულავა და ბოკერიაა? მეცინება!

სიმონ კილაძე: ამათთან კოალიცია როგორ შეიძლებაო? ესენი მკვლელები არიან, ბევრ რამეს კიდევ არ ვლაპარაკობ, ციხეში ვიჯექი და საკუთარი თვალით ვხედავდი, რაც იქ ხდებოდა. ბატონი სიმონი განათლებული კაცია, ტყუილად დააპატიმრეს, ეხლა ეგრეა საჭიროო. რას ჰქვია, ეხლა ეგრეა საჭირო? მიხეილ სააკაშვილს უყვარდა ავანტიურისტული ექსპერიმენტები, ხან ორ გვამს ითხოვდა ვანო მერაბიშვილის პირით, ხან კიდევ სხვის ცოლებს – პირველი ღამის სიამოვნებისთვის. ადგა და დააპატიმრა ეს ადამიანიც, ჯაშუშობის ბრალდება წაუყენა, თურმე მნიშვნელოვან ინფორმაციას გადასცემდა რუსებს. მერე გამოტყდნენ ვიღაცები, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გადაფარვა სდომებიათ. თუმცა როგორც გადაფარეს, კი ვნახეთ.

ავიშალენით. ზოგმა თქვა, თბილისში მეჩქარებაო, ზოგმა – საქმეები მაქვსო. იუბილარს დავემშვიდობეთ. მომავალ წელს... და კიდევ მრავალჯერ შევხვდებით, იმავე ადგილზე.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

„საერთო გაზეთი“ ულოცავს ბატონ სოსო ცინცაძეს 85 წლის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას და გამძლეობას.

ხელოვნური სამოთხე, ანუ ტკბილი და ნეტარი საკონცენტრაციო ბანაკი ადამიანთა გამოსათაყვანებლად

ინდივიდუალიზმი გადაიქცა ნარცისულ ეგოიზმად, ადამიანთა ურთიერთობები ოჯახის გარეთ დაყვანილია კონკურენციაზე ან იურიდიული კონტრაქტით და ვაჭრული გაცვლით მოწესრიგებულ შეჯიბრზე. ინდივიდუალიზმის „დამსახურებით“ ლამის დაგვავიწყეს ცნება „ჩვენ“. ლიბერტარული აზროვნება, ლიბერტანული სული გაუთავებლად მოითხოვს უფლებებს, ინდივიდის უფლებებს რომლებსაც აქვთ წადილის, ჟინის შემზარავი განფენილობა-სივრცე. ის ცდილობს ყოველი ჩვენი წადილის გადაქცევას მწვანე ბილეთად. მე, ჩემი ჟინი, ჩემი უფლებები, მე

მაქვს განუსაზღვრელი უფლება, მე რასაც მინდა იმას ვუშვრები ჩემს თმებს, ჩემი სხეული მეკუთვნის მე, მე პოზიტიური ვარ იმიტომ რომ ვვარგივარ, მე ვიცი ჩემი უფლებები. მე ვაღმერთებ უზნეობას, ესაა ჩემი არჩევანი, ჩემი სმარტფონი, ჩემი სიცოცხლე, ჩემი რადიოპროგრამა, ჩემი ტელეპროგრამა, ჩემიჩემიჩემიჩემი... მემემემემემემემემე...მე ვარ ვინც ვარ. მარტო მე-ზე, ჩემზე კი არა ჩვენზეც,ხალხზეც, ერზეც, საზოგადოებაზეც, ქვეყანაზეც და ეროვნულ კულტურაზეც ფიქრი კი უკვე ძალიან, ყველაზე საშიშ რამედ ითვლება, რაღა დროს ხალხის და საერთო კეთილდღეობაა, რაღა დროს ქვეყანა, რაღა დროს ერია და მსხვერპლის გაღებაა. ეს არქაული სიტყვები გამოცხადდა ბნელი წარსულის მავნე და საშიშ გადმონაშთად. თუ გინდა იყო თანამედროვე ადამიანი უნდა გუთავებლად იძახო მემემემემე...და მოითხოვო ნებისმიერი ხუშტურის, რაც თავში მოგიფრიკინებს ყველაფრის ასრულება, ესაა შენი უფლება. ყველამ იცის რომ ძალა ერთობაშია და არა ცალ-ცალკე კომფორტულ ბუნაგებში ჩაკეტვა და მარტო თავისთვის ბედნიერების მაძებართა ცალ-ცალკე წანწალში. მაგრამ ლიბერალური იდეოლოგია არწმუნებს ადამიანს იმაში რომ საკუთარ თავში ჩაკეტვა და ნებისმიერი ხუშტურის უმაღლეს ნებად გამოცხადებაა უდიდესი თავისუფლება. ლიბერალ-ლიბერტარული ხელისუფლების ხელში ჩავარდნილი ადამიანი ვეღარ ამბობს სიტყვას „ჩვენ“. ვეღარ აზროვნებს როგორც მასზე უფრო დიდი ფენომენის, საზოგადოების, ერის ნაწილი. მოკლედ,მას მისჯილი აქვს უძლურება. უსამართლობა აჯანყებს ადამიანს და იწვევს ერთ ბედს ქვეშ მყოფთა სოლიდარობას, შეკავშირებას, მაგრამ გათითოკაცებული მეფე-ინდივიდებისთვის გაზიარების, უანგაროდ ძღვენის გაღების, თავგანწირვის იდეები უცხოა, უფრო ლოთობით და ნარკოტიკის მეტისმეტად დიდი დოზით დაიხოცებიან ვიდრე ვიღაცას გაუწვდიან ხელს. მათ აღარ აღელვებთ ხალხის, ერის ბედი, ერი და ხალხი მათი აზრით საშიში რამეა და არა დასაფასებელი ღირებულება. მეფე-ინდივიდი ციხედ და აუტანელ პატიმრობად თვლის რელიგიას, ქვეყანას, სოციალურ გარემოს, ოჯახს, სქესს და სექსს...ყველაფერი ეს მისთვის თავისუფლების მკვლელი ფაშიზმია და ის ცდილობს ყველაფერის მოსპობას...ცალკე წანწალით სიამოვნების მიმღები მეფე ინდივიდისთვის მთავარია პირადი სიამოვნება და ირგვლივ ყველაფერი რომც იქცეოდეს კიდეც ეს არის დაუძლეველი ისტორიული პროცესი. ჩვენი უძლური მეფე ინდივიდი ფატალისტია და თვლის რომ სასარგებლო ფატალიზმები თვითონ მოაგვარებენ ყველაფერს. ევროპაში, ორი მსოფლიო ომის შემდეგ გადარეულებმა გადაწყვიტეს რომ ყველაფერში დამნაშავეა ისტორიული ტრადიციული საზოგადოება მთელი თავისი ინსტიტუტებით. მოაწყვეს სექსუალური რევოლუცია და დაიწყეს რელიგიაზე, ხალხზე, ერზე, ოჯახზე წარმოდგენების ამოგდება ხალხის თავიდან. ოჯახი გამოაცხადეს თვითნებურ და ხელოვნურ კონსტრუქციად რომლის დანგრევის უფლე-

ბაც როცა მოეხუშტურება მაშინ აქვს თავისუფალ ადამიანს. ოჯახიც ლამის სულს ღაფავს, გაივსო მსოფლიო დაკომპლექსებული უკანონო, უმამო, უდედო, უდედმამო ბავშვებით. ეხლა კი უკვე ამბობენ რომ მამაკაცის და ქალის ცნებები ხელს უშლის ადამიანის თავისუფლებას, რომ ბავშვი იბადება გაურკვეველ არსებად რომელმაც რა თქმა უნდა ბრძენი ლიბერტარების ხელმძღვანელობით და კარნახით თვითონ უნდა გადაწყვიტოს მამაკაცად უნდა ყოფნა თუ ქალად. გენები, ბუნება, ორგანიზმი რა შუაშია, თუ ხოში გაქვს მიხვალ ლიბერტარ არსებასთან და ის შენი სურვილისამებრ გადაგაკეთებს კაცად, ქალად თუ ანდროგინად. ლიბერტარი გაძლევთ ყველა ხოშის ასრულების, საშუალებას. 1968 წლის მაისის მთავარი ლოზუნგის თანახმად სულერთია სად, სულერთია როდის, სულერთია რითი და სულერთია რის ფასად დაუბრკოლებლად განიჭებს სიამოვნების უფლებას. და თუ არ ხართ ლიბერტარი, ხართ მოსარჯულებელი პროვინციელი ან დედაქალაქელი ფაშისტ-ნაცისტები. სამწუხაროდ, ასეთია მემემემეიზმის ოკეანე. ასეთი თავისუფლებით გახარებულები ეხლა ნარკოტიკით და სექსით აგებენ თავის პირად სამოთხეს. ახალგაზრდები გადარია უკანასკნელმა მოდამ,«იდოსინგ»-მა, სმენითმა ნარკოტიკმა. დღეს ნარკოტიკით გამოთაყვანების ახალი ფორმა ისეთივე მარტივია როგორც მუსიკის მოსმენა. **„I-dosing“**, **I-Doser** არის ნარკომანიის ახალი ტენდენცია. ეს არაა მოწევა, ინექცია ან აბი, ეს უბრალოდ არის ყურებზე მოსასმენი სტერეოსაყურეების ჩამოცმა. საკმარისია შეხვიდე **„I-dosing“**, **I-Doser**-ის საიტში და გადატვირთო იქიდან 40 მუსიკა, გაიშოტო შენს ლოგინზე სიბნელეში, ჩამოიცვა მოსასმენი საყურეები და დაახლოებით 45 წუთი უსმინო „მუსიკას“. შედეგი დამოკიდებულია იმაზე თუ რა „მუსიკას“ უსმენ. ეს ქაოტური ხმები იწვევენ იგივე განცდებს რასაც იწვევენ კანაბისი-კანაფი, ოპიუმი თუ კოკაინი. არის კონცენტრაციის გამაუმჯობესებელი თუ ორგაზმის გამომწვევი სტიმულანტებიც. როგორ მოქმედებს ეს? ეს მუსიკალური ხმაურები იწვევენ ბინაურალურ რიტმებს ლათინურიდან ბინი-წყვილი და აურის, ყური-თავის ტვინის მუშაობის არტეფაქტი, მართული მუსიკის წარმოსახული ხმები, რომლებსაც ტვინი აღიქვამს, ისმენს, თუმცა ამ სიხშირის რეალური ხმები არაა. ბინაურალურ რიტმების გასაგონად საკმარისია ჩამოცმა ისეთი სტერეოსაყურეებისა რომლებშიც სხვადასხვა ყურზე გადაეცემა ერთმანეთისგან სიხშირით რამდენადმე განსხვავებული ხმები... ხმების განსხვავებას ტვინი აღიქვამს როგორც დაბალი სიხშირის ბუნებრივ რიტმებს. ბინაურალურ რიტმებს იყენებენ ფსიქიატრები პაციენტების დასამშვიდებლად და განმუხტვის მდგომარეობაში მოსაყვანად. გახანგრძლივებული მოსმენა დარღვევებს იწვევს

ტვინში და მსმენელს აგდებს ნარკოტიკული სიმთვრალე-გათიშულობის მდგომარეობაში. ეს ფენომენი 1970-ან წლებში აღმოაჩინა ამერიკელმა **Gerald Oster**-მა. უნამუსო კომერსანტებიც სიამოვნებით მდიდრებიან ამის გაყიდვით. ამერიკაში **„e-drugs“**-ის სახელით გაჩენილი ეს უბედურება 2010 წლის ზაფხულში გამოჩნდა ევროპაშიც. ინტერნეტის საიტები თრობა-გაშტერების მოყვარულებს განსაზღვრულ ფასად სთავაზობენ ხმაურებს რომლებმაც უნდა გამოათროს და გამოაშტეროს მსმენელი ისე როგორც ათრობს და აშტერებს ალკოჰოლი, მარიხუანა, კოკაინი, ლსდ და სხვა ნარკოტიკი. ინტერნეტით გავრცელებულ ვიდეო მასალაში აჩვენებენ ტრანსში მყოფ მოზარდებს. ვირტუალურმა ნარკოტიკმა შეიძლება გამოიწვიოს ბავშვური ფსიქოზი, მეტყველების გართულება,ხილვა-ზმანების სინამდვილისგან განსხვავების სირთულე... ჩვენ, უკვე ვცხოვრობთ საზოგადოებაში რომელიც ძალიან გავს იმას, რაც გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში აღწერა ოლდოს ჰაქსლმა თავის წიგნში „საოცარი ახალი სამყარო“. სამწუხაროდ, დღეს შეიძლება ტექნოლოგიით, ნარკოტიკით, ტელევიზიით, პორნოგრაფიით და მსგავსი რამეებით ხალხის ისე გაწვრთნა, გართობა და გამოთაყ-



ვანება რომ ის ვეღარ გრძნობდეს მის ხელებზე დადებულ ბორკილებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ოლდოს ჰაქსლი დააფიქრა ტოტალიტარიზმის გავრცელებამ და დაუჯერებელმა ტექნოლოგიურმა და მეცნიერულმა პროგრესმა. ჰაქსლიმ შეცვალა მიმართულება და 1961 წელს კაცობრიობა გააფრთხილა: „მომავალ თაობაში იქნება ფარმაკოლოგიური მეთოდი იმისთვის რომ ადამიანებმა შეიყვარონ თავისი მონური მდგომარეობა და დიქტატურა იყოს ცრემლების გარეშე. იქნება ერთგვარი უტკივილო საკონცენტრაციო ბანაკი მთელი საზოგადოებებისთვის. ადამიანებს წაართმევენ მათ თავისუფლებებს მაგრამ ისინი ამით იხეირებენ იმიტომ რომ პროპაგანდა თუ ტვინის რეცხვა მათში მოკლავს აჯანყების სურვილს. ტვინის რეცხვას კი გააძლიერებს ფარმაკოლოგიური მეთოდები. ეს შეიძლება იყოს უკანასკნელი რევოლუცია. ოლდოს ჰაქსლის აზრით, ხელმძღვანელები ბოლოს და ბოლოს გაიგებენ რომ მოსახლეობათა დამორჩილება და გაკონტროლება შეიძლება ეშმაკური მეთოდებით, მასებისთვის სასიამოვნო გართობათა მიცემით და არა ძალადობით. ჯორჯ ორუელის 1984 წელში ხელმძღვანელმა კლასმა ძალაუფლება შეინარჩუნა ტკივილის გამოყენებით. ოლდოს ჰაქსლის საოცარ ახალ სამყაროში ხელმძღვანელმა კლასმა ძალაუფლება შეინარჩუნა სიამოვნების გამოყენებით. ჰაქსლის რომანში მომავლის ცივილიზაციაა აღწერილი, მსოფლიო სახელმწიფო, რომლის დევიზიცაა ერთობა, იდენტობა, სტაბილურობა. მეცნიერება იმ დონეზეა განვითარებული, რომ ადამიანებს ბავშვის გაჩენაც აღარ სჭირდებათ. ამას აკეთებენ ინკუბატორული ცენტრები, რომლებიც ბავშვებს აწარმოებენ და მათ თავიდანვე განუსაზღვრავენ ყველაფერს ზრდიან სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებად. სულ ხუთი კლასია ალფა, ბეტა, გამა, დელტა და ეპსილონი. ინკუბატორული და აღმზრდელობითი ცენტრები ზრუნავენ, რომ ყველა ნაყოფი თავისი კლასის შესაბამისად განვითარდეს. მაგალითად, დაბალ კლასებს დროდადრო ჟანგბადის მიწოდებას უზღუდავენ, (რაც დღეს, პირბადის გამოყენებით ხდება)რათა ისინი ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩენილები დაიბადონ და მზად იყვნენ თავიანთი სოციალური როლისთვის, არ გაუჩნდეთ რაიმე სახის პრეტენზიები. დაბადების შემდეგ ბავშვები იქვე, ცენტრში იზრდებიან. მათ უტარებენ ჰიპნოპედიას ანუ ძილის დროს ურთავენ ხოლმე ხმას, რომელიც იმ შეხედულებებსა და ფრაზებს იმეორებს, რომლებიც ბავშვებს უნდა ჩაუნერგონ. შედეგად, ეს არის აბსოლუტურად კონფორმული საზოგადოება, რომელიც თავს ბედნიერად გრძნობს...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

პოლიტდევნილი ლევან მამალაძის მხარდამჭერი ქართული საზოგადოების მიმართვა

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, დიდი იმედით შევხვდით თქვენს არჩევას საქართველოს პრეზიდენტად, რაშიც ჩვენც გვაქვს წვლილი შეტანილი. ჩვენთვის ქალბატონის არჩევა პრეზიდენტად, ბრწყინვალე ისტორიულ პერიოდს გვახსენებს და ვიმედოვნებთ, რომ ძლიერ საქართველოს მოვესწრებით.

თქვენ იმთავითვე საქვეყნოდ განაცხადეთ, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და სახელმწიფოებრიობის გარანტი იქნებოდით, აღადგენდით სამართლიანობას და უპირობოდ დაიცავდით ადამიანის უფლებებს, დაეხმარებოდით ყველა იმ ემიგრანტსა და დევნილს, რომლებსაც საშშობლოში დაბრუნება სურთ.

ჩვენმა ხალხმა ბევრი რამ გადაიტანა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როცა ქვეყანა დაქუცმაცდა, ძალადობამ და პოლიტიკურმა ანგარიშსწორებამ ოჯახები გააუბედურა და იმსხვერპლა, ამას დამატებულმა სიდუხჭირემ მასიური მიგრაცია გამოიწვია.

2012 წელს არჩეულმა ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენა უმთავრეს ამოცანად გამოცხადა, მაგრამ ამ პროცესმა, სამწუხაროდ, შერჩევითი ხასიათი მიიღო.

ასე მოხდა ლევან მამალაძის შემთხვევაში.

ჩვენ ვიცნობთ მას და მის საქმიანობას. იგი ახალგაზრდობიდან იყო ჩართული პოლიტიკურ მოღვაწეობაში და იმის მიუხედავად, რომ ურთულეს პერიოდში მოუწია საქმიანობა, ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ქვეყნისთვის, რითაც პატივისცემა და ნდობა მოიპოვა ხალხში.

არ ვუღრმავდებით იურიდიულ ნიუანსებს, რადგან ყველაფერმა ცხადყო და ვიცით — ლევან მამალაძე რომ არ ყოფილიყო მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტი და კონკურენტი, მამალაძის წინააღმდეგ არავინ გაავრცელებდა ჭორებს, არ შეკერავდა აბსურდულ საქმეს და სისხლიან რეპრესიებს არ მოუწყობდნენ მის ოჯახს.

ლევან მამალაძემ რამდენჯერმე მოგმართათ თხოვნით სამართლიანობის აღდგენისთვის.

თქვენ სახელზე შედგა მხარდამჭერთა პეტიციაც, რომელსაც 4000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი.

მოგმართათ მამალაძის 80 წლის დედამაც, რომ ამ მძიმე პანდემიის პირობებში მაინც დაუბრუნოთ შვილი.

ახსნას ვერ ვპოულობთ, რატომ ვერ მოხერხდა აქამდე ლევან მამალაძის საკითხის განხილვა და მისი შეწყალება. რატომ უნდა იყოს ქვეყნისთვის თავდადებული ადამაინი, სამი შვილით 17 წელი საშშობლოსგან მოწყვეტილი?!

მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგე და კონკურენტი იყო?!

არც არჩევნების, ან ზოგიერთი პოლიტიკური დაჯგუფების პოზიციის მომიზეზება იქნება სწორი, რადგან ეს ისევ პოლიტიკური მოტივაციის არსებობას აფიქსირებს და არა კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობას.

საქართველოში არჩევნები პერმანენტულად ტარდება.

პარტიები ერთმანეთს ენაცვლებიან.

სამართლიანობის აღდგენა არ უნდა იყოს ამაზე დამოკიდებული.

ჩვენ საქართველოს საზოგადოების იმ ნაწილს წარმოვადგენთ, რომელნიც ვერ ვიქნებით გულგრილნი ჩვენი ქვეყნის მომავლის მიმართ. ბოლოს და ბოლოს, საშველი ხომ უნდა დაადგეს სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმის მიერ დევნილი ადამიანების სამშობლოში დაბრუნებას და მათ რეაბილიტაციას?!

ლევან მამალაძის შეწყალება, სამართლიანობის აღდგენის რეალური მაგალითი იქნება ქართული საზოგადოებისთვის.

თქვენ, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ყველა ჩვენგანის პრეზიდენტი ხართ და ჩვენი გულისტკივილი უნდა გაითვალისწინოთ.

ჩვენ, საქართველოს სასულიერო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მოგმართავთ თხოვნით, აღადგინოთ სამართლიანობა და ლევან მამალაძის შელახული უფლებები და შეიწყალოთ და დააბრუნოთ იგი საშშობლოში. ეს გადაწყვეტილება საქართველოში ძალადობის, პოლიტიკური დევნისა და ანგარიშსწორების დასასრულის სიმბოლო იქნება.

პატივისცემით,

უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ხელს ვაწერთ:

მეუფე გერასიმე (შარაშენიძე) — ზუგდიდი-ცაიშის ეპარქიის მიტროპოლიტი.

მეუფე ანანია (ჯაფარიძე) — მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქიის მიტროპოლიტი.

მეუფე იოანე (გამრეკელი) — ქუთაის-გაენათელი მიტროპოლიტი.

ქართული საზოგადოების სახელით:

კახი კავსაძე — საქართველოს სახალხო არტისტი;

თამაზ გამყრელიძე — მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;

როინ მეტრეველი — პროფესორი, ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე;

ელგუჯა გუგუშვილი — პროფესორი;

რეზო მიშველაძე — მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემის ლაურეატი;

რეზო ამაშუკელი — მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე;

გოგი ქავთარაძე — საქართველოს სახალხო არტისტი;

ერეკლე სალღლიანი — მწერალი, საზოგადო მოღვაწე;

ანზორ ერქომაიშვილი — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;

ჯემალ ჭკუასელი — საქართველოს სახალხო არტისტი;

ფრიდონ სულაბერიძე — ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი;

ნანი ბრეგვაძე — საქართველოს სახალხო არტისტი;

ეკა მამალაძე — ქართველი მომღერალი;

მერაბ სეფაშვილი — ქართველი მომღერალი;

ალექსი მაჭავარიანი — სახალხო არტისტი, კომპოზიტორი;

მარიკა კვალიაშვილი — კომპოზიტორი;

მაყვალა გონაშვილი — მწერალთა კავშვირის თავმჯდომარე, საზოგადო მოღვაწე;

თემურ ჩალაბაშვილი — პოეტი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ილიას, გალაკტიონ ტაბიძის, ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი;

არჩილ გელოვანი — პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტი;

ირაკლი ბათიაშვილი — ქართველი მეცნიერი, პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი;

ნიკო ლეკიშვილი — ქართველი პოლიტიკოსი, დიპლომატი, თბილისის ყოფილი მერი;

ნონა გაფრინდაშვილი — ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი;

მაია ჩიბურდანიძე — ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი;

ირმა ნიორაძე — პრიმა-ბალერინა, საერთაშორისო გრან-პრის ლაურეატი;

ალექსანდრე ჩივაძე — ქართველი ფეხბურთელი, მწვრთნელი;

ვლადიმერ გუცაევი — ქართველი ფეხბურთელი, მწვრთნელი;

ზაზა ფაჩულია — საქართველოს და აშშ ლიგის კალათბურთელი, ჩემპიონი;

გოჩა ჩხაიძე — ცნობილი მედვინე, მეცენატი;

ვლადიმერ ხმელიძე — სრულიად ქართველთა იბერთა და კოლხთა საერთაშორისო საზოგადოების თავმჯდომარე;

თემურ გუგუშვილი — სახალხო არტისტი, ოპერის სოლისტი;

ქეთევან ლოსაბერიძე — ოლიმპიური ჩემპიონი;

დავით კევლიშვილი — 63-ე მუსიკალური სკოლის დირექტორი;

მაია აზარაშვილი — ევროპის ჩემპიონი;

ლიანა ცოტაძე — ქართველი მოცურავე, ოლომპიური ჩემპიონი;

ქეთევან დუმბაძე — საზოგადო მოღვაწე;

მანანა დუმბაძე — მწერალი, საზოგადო მოღვაწე;

ალიბალა ასკეროვი — აზერბაიჯანული მოძრაობა „გეირათის“ თავჯდომარე, სეიდი;

ალი ბაბაევი — საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე;

მუბარის კარაევი — საქართველოს აზერბაიჯანულ თემთა განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

არნოლდ სტეფანიანი — საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს” თავმჯდომარე;

იური გრიგორიანი — ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ფონდის თავმჯდომარე;

თემურ დიასამიძე — საზოგადო მოღვაწე;

ია მეტრეველი — საზოგადო მოღვაწე;

ნაზიბროლა ქობალია — საზოგადო მოღვაწე;

დარეჯან გუჯეჯიანი — საზოგადო მოღვაწე;

ირანდა კალანდაძე — ჟურნალისტი;

ვახტანგ ხარჩილავა — მწერალი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი

ნუგზარ ნადარაიას ხსოვნას

75 წლის ასაკში გარდაიცვალა შესანიშნავი ადამიანი, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ქველმოქმედი, დიდ საქმეთა თაოსანი, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნადარაია.

ბატონმა ნუგზარმა მთელი თავისი ცხოვრებით, შრომითა და თავდადებით საზოგადოებას უჩვენა და საქმით, პირადი მაგალითით, დაუმტკიცა, რომ ის მართლაც შესანიშნავი ადამიანი იყო. შესანიშნავი იმით, რომ მიუხედავად განვლილი გზისა და საზოგადოებაში მისი მდგომარეობისა (ბატონ ნუგზარს ახალგაზრდა ასაკიდან ყოველთვის ხელმძღვანელ თანამდებობებს ანდობდნენ, რადგან სჯეროდათ, ის ამ დიდ ნდობას უთუოდ გაამართლებდა), ის ნებისმიერ ადამიანში, განურჩევლად მისი სტატუსისა, თანაბრად ეძებდა ადამიანს, მის პიროვნულ და პროფესიულ თვისებებს, სულიერებას და არა სახელს თუ თანამდებობას. ამიტომაც უყვარდათ და აფასებდნენ მას სამეგრელოში, აჭარაში, აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ქართლ-კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში, მთაში თუ ბარში, მთელს საქართველოში...

ბატონი ნუგზარის თავკაცობით და ინიციატივით საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ეგიდით, ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები, სახალხო დღესასწაულები, მხარეთა შორის მეგობრობის „გადაძახილები“. ის გახლდათ დუღაბი ქართველთა ერთიანობისა და სხვადასხვა კუთხის წეს-ჩვეულებათა, ეროვნული ხასიათის, სტუმარ-მასპინძლობის გაზიარებისა.

ბატონი ნუგზარის თაოსნობით, საპატრიარქოს ხატმწერთა მიერ, პირადად პატრიარქის და ეპისკოპოსთა ლოცვა-კურთხევით, დაიწერა წმინდანთა უამრავი ხატი და არ დარჩენილა თითქმის არც-ერთი ეკლესია-მონასტერი, სადაც მას ეს ხატები თავისი ხელით არ დაებრძანებია.

ბოლოს მას 12 აგვისტოს ფოთში შევხვდი დიდგორობის ბრწყინვალე დღესასწაულისა და წმინდა ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღეს (ტრადიციულად, ის ამ დღეს ყოველ წელს აღნიშნავდა). როგორც ჩვეოდა ყველა საქმის ბრწყინვალე ორგანიზატორს, ეს დღეც შესანიშნავად ჩაატარა უახლოეს მეგობრებთან, თავის აღზრდილებთან და თანამოაზრეებთან ერთად. მომდევნო დღეებშიც ვუკავშირდებოდით ერთმანეთს ტელეფონის საშუალებით და ვგეგმავდით უახლოეს შეხვედრებს და ღონისძიებებს.

სამწუხაროდ, ეს ბოლო შეხვედრა იყო მასთან ამა სოფლად...

ღმერთმა აცხონოს ბატონი ნუგზარის ვალმოხდილი, კაცთმოყვარე, მოწყალე, შემნდობი და კეთილი სული, ამინ!

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის
სახელით

ალეკო დოლბაია,
აკადემიის საგამომცემლო-პოლიგრაფიული სამსახურის ხელმძღვანელი

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუსარებას გამოთქვამს ბატონ ნუგზარ ნადარაიას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ხმაურით დაყრუებული ქალაქი და დაყრუებული კანონი

„დაინგრა პეკინის ქუჩა, მე მგონი, თვითმფრინავი დაჯდა... უკვე გაუსაძლისია, ამდენი დანჯღრეული მანქანა, მოტოციკლი... დაგვაძინეთ ან გადით ქალაქგარეთ“, წერს ავტომოტო ტრანსპორტის ამაზრზენი ხმაურით შეწუხებული ერთ-ერთი ფეისბუქმომხმარებელი. ასეთი ადამიანი უამრავია, მათ რიცხვს მივეკუთვნები თქვენი მონა-მორჩილიც, რომლებსაც ნევროზი დამართა ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის თავაშვებულმა თარეშმა დედაქალაქში (და არამარტო დედაქალაქში). ასე რომ, მარტო იმიტომ კი არ გვაქვს ზარები დასარისხებელი, უპატრონოდ დარჩენილი ადამიანები, უპატრონოდ დარჩენილმა ძაღლებმა არ დაჭამონო, არამედ იმიტომაც, თან გაცილებით ხმამაღლა, სანამ ტანკებივით მოგრუხუნე მოტოციკლებმა და ავტომანქანებმა, ძირითადად სპორტულმა ავტომანქანებმა არ შეგვიწირა საშინელი ხმაურითა და გადამეტებული სიჩქარით. ამ სატრანსპორტო საშუალებების მძღოლთათვის არც დღე არსებობს და არც ღამე, მაყუჩმოხსნილი თუ გამაძლიერებელ ჩადგმული მოტოციკლ-ავტომანქანები ამაზრზენი ღრიალით დაშლიგინებენ მთელი ქალაქის მასშტაბით. ზოგიერთი პატრული იმას იმიზეზებს, რომ თურმე კანონმდებლობა არ აძლევს საშუალებას, რომ 24-საათიან რეჟიმში ტანკივით გრუხუნით მოძრავი მოტოციკლი იქნება თუ ავტომანქანა, მისი მძღოლი დასაჯონ. არადა ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსში შესაბამისი მუხლები არსებობს, უბრალოდ ერთ მათგანში მთლად მკაფიოდ არ არის გაწერილი ამგვარი დარღვევის სადამსჯელო სანქციის შესახებ. არადა იყო დრო, რომელსაც ძალიან „დემოკრატ-ცივილიზებულნი“ შავბნელ პერიოდად იხსენიებენ, როცა დედაქალაქში სიგნალის მიცემაც კი იკრძალებოდა. ეს აკრძალვა დღესაც მოქმედებს დასავლურ ცივილურ სამყაროში, რომელსაც ასე ეტრფვით ე.წ. პროდასავლელნო, კომუნისტურ გადმონაშთად არავის ჩაუთვლია. იქაური კანონმდებლობა, არც ღრიანცელით მოჯირითე მოტოციკლების და ავტომანქანების მძღოლებს ინდობს. საბედნიეროდ, ყველა პატრული არ იმიზეზებს ვითომდა კანონმდებლობის არ ქონას, სიჩქარის გადაჭარბებაზეც ვსჯით დამრღვევ მოტოციკლეტისტსა და მძღოლს, გადამეტებულ ხმაურზეც, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ თვითნებურად არის გადაკეთებული მაყუჩი და სხვა მექანიზმი, თუ ქარხნული წესით აქვს ავტომანქანას მოძრაობისას მაღალი ხმა, ვერ შევედავებითო. ისე, ეს ტანკივით მოგუგუნე ტრანსპორტი, ე.წ. სპორტული ავტომანქანები ქალაქში სამოძრაოდ არც არის განკუთვნილი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თუ პატრულმა ან მათი ღრიანცელისგან შეწუხებულმა ადამიანმა მისცა შენიშვნა მძღოლს, მერე კი დაუწევენ ხოლმე ხმას და გასუსულები მოძრაობენ. უხეში დარღვევაა არასწორი მანევრირება, რომელიც ავტოავარიის ერთ-ერთ ძირითად გამომწვევ მიზეზად ითვლება, მოტოციკლების და ე.წ. სპორტული ავტომანქანების მძღოლები ამ კუთხითაც ხშირად არღვევენ და ხშირად თავადვე ხდებიან ავტოავარიის მსხვერპლნი.

ჩემმა ნაცნობებმა რომ გაიგეს, ამ თემაზე ვამზადებდი სტატიას, ერთხმად მითხრეს, რომ ამაზე უკეთესს ვერაფერს გავაკეთებდით. ძილი და მოსვენება აღარ გვაქვს მოტოციკლების და მაყუჩმოხსნილი ავტომანქანების ღრიანცელისგან, პატრული ძალზე ინტენსიურად არ მოძრაობს თუნდაც წერეთლის გამზირზე და ეს თავზეხელარებული „კონტინგენტიც“ სარგებლობს ამით. მოსახლეობისგან თუ რამეა საჭირო, რომ როგორმე აღიკვეთოს ეს საშინელება, ყველაფერზე თანახმა ვართ, პეტიციასაც მოვამზადებთ შესაბამისი ხელმოწერებით, თუ საჭირო გახდა, პროტესტის ნიშნად პლაკატებითაც გამოვალთ, რომ მკაცრად დასჯადი გახდეს ეს უმსგავსობა, შესაბამის კანონმდებლობაშიც მკაფიოდ განისაზღვროს სანქციები, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის რთული არ იყოს დამრღვევის დაჯარიმება და არც სხვადასხვა ინსტანციებში მოუწიოს სირბილმა სიმართლის დასამტკიცებლადო. ამაზრზენი ხმაური ერთია, მაგრამ არაერთხელ შემინიშნავს, რომ ქვემეხის „ზალპით“ მოძრავ ავტომქანა თუ მოტოციკლი როგორ აფრქვევს ალსა და ნაპერწკალს გამონაბოლქვის მილიდან. სპეციალისტთა განცხადებით, როცა ავტომანქანა მაღალ ბრუნვებზე მუშაობს და მაყუჩი არ აქვს, მაშინ არის ასეთი ხმური და შეიძლება ცეცხლიც გამოვარდეს, თუ საწვავის არასწორი წვა ხდება. ამ ეტაპზე ეს ტექნიკურ გაუმართაობად არ ჩაითვლება, კანონითაა მისაღები ნორმა, რომ დაუშვებელი იყოს ასეთი მაღალი ხმის მქონე ავტომანქანის მოძრაობა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ავტომოტო ტრანსპორტის დიაგნოსტიკურ სადგურებს ხმაურის მზომები არ აქვთ. კანონით როცა განისაზღვრება, დიაგნოსტიკურმა ცენტრებმა შეამოწმონ ხმაურთან დაკავშირებით, ტექნიკურ ინსპექტირებაზე მისული სატრანსპორტო საშუალებები, მერე აუცილებლად შეიძენენ შესაბამის მოწყობილობებს და პრობლემა არ იქნება ხმაურის გაზომვაო. მოგეხსენებათ, ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკური ინსპექტირება და შესაბამისად დიაგნოსტიკური სადგურებიც ეკონომიკის სამინისტროს საკურატორო სფეროა. სიმართლე გითხრათ, ვერ ხვდები, რა შუაშია ქალბატონ თურნავას უწყება ამ სფეროსთან, როცა ტექნიკურ ინსპექტირება, ანუ ტექნიკურ დათვალიერება, როგორც ადრე ეძახდნენ, პირდაპირ კავშირში გახლავთ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან. ამ უკანასკნელზე კი პასუხისმგებელი შსს-ს სტრუქტურა, საპატრულო პოლიციაა. ტრანსპორტის დეპარტამენტი თუ რაც ჰქვია, ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და ხსენებული სფეროც იმიტომ გადასცეს ეკონომიკის სამინისტროსო, ამიხსნეს საქმეში ჩახედულებმა. როგორ „წარმატებით“ ასრულებს ქალბატონ თურნავას მრავალპროფილიანი უწყება დაკისრებულ მოვალეობას, თავად ხედავთ. ნაციონალების მიერ „კეთილშობილების“ მიზეზით გაუქმებული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების აღდგენა რომ გადაწყდა, კომპეტენტურმა ადამიანებმა დაგვამშვიდეს, ამ მოგრუხუნე ტრანსპორტის ჯირითიც აღიკვეთებაო, თუმცა არაფერი ამის მსგავსი. გასულ წელს ეკონომიკის სამინისტროში რომ დავრეკე, მიპასუხეს, 2020 წლიდან გახდება სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირებისას სატრანსპორტო საშუალებების ხმაურზე შემოწმებაო, თქვენც არ მომიკვდეთ, მგონი, ამათ ოფიციალურად გააუქმეს მაყუჩის არსებობა. რომელ წლამდე გადადეს „მდგრადად განმავითარებლებმა“ ხმაურის შემოწმება ვერაფერს მოგახსენებთ, მათ მეტად აღარ დავკავშირებივარ უსუსური და უაზრო კომენტარების მოსასმენად.

ზემოთ დაუხვეწავი კანონმდებლობა ვახსენეთ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 81-ე მუხლი თითქოს ებრძვის მოგრუხუნე ტრანსპორტს, ისეთი ავტომოტოსატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების ექსპლუატაცია, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა, აგრეთვე მუშაობისას მათ მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე აღემატება დადგენილ ნორმატივებს — გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ დონემდეო, მაგრამ ფაქტობრივად მკვდარი მუხლია. რას ნიშნავს შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე და რა თანხას გულისხმობს, როგორ უნდა გაარკვიოს პატრულმა ოქმის შედგენისას, იქნებ დამრღვევ მძღოლს საერთოდ არ აქვს ოფიციალური ხელფასი, გამოდის არ უნდა დაჯარიმდეს? „გამოსავალი“ მოინახა, ამ შემთხვევაში მძღოლის დაჯარიმება სასამართლოს პრეროგატივა ყოფილა, რომელ პატრულს აქვს იმის დრო და სურვილი, რომელსაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კონტროლის გარდა, უამრავი სხვა ფუნქციაც აქვს, რომ სასამართლოში ირბინოს და ამტკიცოს თავისი სიმართლე. იმის გამო, რომ კანონმდებლებმა ვერ „მოიცალეს“ ამ მუხლის დასახვეწად, არ მიუთითეს ჯარიმის კონკრეტული ოდენობა, პატრულები ერიდებიან ამ დარღვევით ოქმის შედგენას, რითაც „მშვენივრად“ სარგებლობენ დამრღვევები და დაუსჯელად დათარეშობენ. ადრე იმაზეც ვწერდით, როგორ ხსნიდნენ ავტოტრანსპორტს ე.წ. კატალიზატორებს მათი მფლობელნი თუ იმპორტიორნი, რადგან ტექნიკური დათვალიერებას აღარ იყო სავალდებულო და შესაბამისად, შემდავებელნიც არავინ ყავდათ. ეს მოწყობილობა მავნე გამონაბოლქვს ამცირებს, ფერადი ლითონითაა დამზადებული, ეკოლოგიაზე „მზრუნველი“ მოქალაქენი და ჯართის მიმღებ პუნქტებში აბარებენ, საკუთარ და თანამოქალაქეების ჯანმრთელობას მიზერულ თანხაში ცვლიანო. კომპეტენტური ადამიანების განცხადებით, მავნე გამობალქვის გამო, დედაქალაქში სუნთქვა რომ აღარ შეიძლება, ეს დიდ წილად საწვავის ხარისხზეა დამოკიდებული. რა ხარისხის საწვავი შემოდის საქართველოში? პირველ რიგში საწვავი უნდა შემოწმდეს, დიაგნოსტიკურ სადგურებს რომ სთხოვენ გამონაბოლქვზე შემოწმებას, ხოლო მფლობელებს ავტომანქანების მოწესრიგებას, თუ ბენზინი არ ვარგა, რა ქნას ამ ხალხმა. ეს ძალიან აქტუალური, მწვავე და რთული საკითხია, რომელიც სერიოზულ განსჯას და გადაწყვეტას მოითხოვს.

ავტომოტო ტრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობის შესახებ სანქციას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 132-ე მუხლი განსაზღვრავდა, „გულმოწყალე“ ნაცებმა ეს მუხლი საერთოდ ამოიღეს კოდექსიდან და 119-ე მუხლს მიუერთეს, რომელიც სატრანსპორო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევას ეხება. ამ მუხლის მე-5 პუნქტი — იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული (გადაკეთებულია საწვავის ავზი, ძარა, ან დაყენებულია ბუნებრივი აირის სისტემა, ან სხვაგვარადაა შეცვლილი სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქცია და იგი არ შეესაბამება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს ან/და ქარხანა დამამზადებლის სტანდარტებს) — გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. ვფიქრობთ, ფაქტობრივად, მხოლოდ ეს მუხლი აძლევს საშუალებას და უფლებას ჩვენს პატრულს, რომ აღკვეთოს ზემოხსენებული თავაშვებული მძღოლების თარეში, მაგრამ კომპეტენტური ადამიანების განცხადებით, ეს არ კმარა, სერიოზულადაა დასახვეწი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. ამ ხალხმა „ვერ დააკმაყოფილა“ ნაცების „განათლება-ერუდიციის“ დონე და 2004 წლის ივნისში ერთი ხელის მოსმით გაყარეს ქუჩაში. ისინი მართლაც პროფესიონალი არიან, იგივე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ორგანიზაციის კუთხით, ოღონდ დიდი ამბიციების მქონე დილეტანტებისგან განსხვავებით, საკუთარი თავის აფიშირებას ერიდებიან. მათ იმ მტკივნეულ, საჭირბოროტო თემასთან დაკავშირებით, რომელზეც წინამდებარე სტატიაში ვსაუბრობთ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილება მოამზადეს და გასულ წელს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტსაც გადაუგზავნეს განსახილველად, თუმცა პასუხის ღირსებიც არ გაუხდიათ ხალხის „რჩეულთ“. ეტყობა ქალბატონ ბესელიასა და მის ერთგულ „ადიუტანტსა“ თუ „საჭურველთმტვირთველ“ ფრიად რომანტიკული თიკუნის მქონე ბატონ ფოფხაძისთვის სულ არაა საინტერესო, რას გრძნობენ თუნდაც დედაქალაქის მცხოვრებნი, ამაზრზენი გრუხუნით მოთარეშე სატრანსპორო საშუალებების გამო.

იმედია, ხელისუფლება გაითვალისწინებს პროფესიონალთა მოსაზრებას, მიიღებს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებას, რაც საშუალებას მისცემს საპატრულო პოლიციეს უფრო ეფექტური მუშაობისთვის და აღკვეთავს იმ საშინელ ქაოსს, რასაც ეს ავტომოტო მოთარეშეები ქმნიან. ცნობისთვის, ამ „კონტინგენტისგან“ შეწუხებული საზოგადოება, ჯერ მხოლოდ დისტანციური ლანძღვა-კრულვით შემოიფარგლება, მაგრამ ამ თავზეხელაღებულ სექტას თუ კანონმდებლობით არ ამოსდებენ ლაგამს, არც ფიზიკური შეხლაშემოხლაა გამორიცხული. ამ მოტოტრანსპორტით ვინ გადადაადგილდება, იცის თუ არა საერთოდ სატრანსპორტო საშუალების მართვა და საგზაო მოძრაობის წესები უცნობია, რესპოდენტთა განცხადებით, მოტოტრანსპორტის გარკვეულ ნაწილს არც სახელმწიფო ნომრები ჭირდება თურმე, ხოლო მის მძღოლს მართვის მოწმობა. ეს პატრულის იმ თანამშრომლებმაც დაგვიდასტურეს, რომლებიც იმ საგზაო შემთხვევის დასაფიქსირებლად იყვნენ გამოსული, რომლის მონაწილეც ამგვარი მოტოროლერი გახლდათ. ამ შემთხვევაში რომელი იყო დამნაშავე გამოძიების გასარკვევია, მაგრამ არაერთხელ შევსწრებივარ ამ ამაზრზენი ხმით მოზუზუნე „ხოჭოების“ მიერ, არასწორი მანევრირებით შექმნილ ავარიულ სიტუაციას, რომლის მსხვერპლნიც თურმე ხშირად თავადვე ხდებიან, სხვა „მოტოგონშჩიკების“ მსგავსად. ნაციონალების მიღებული ეს მავნებლური „ნოვაცია“, ანუ მართვის მოწმობის და სახელმწიფო ნომრების გარეშე მოძრაობის დაშვება, დღემდე ძალაშია და მგონია, არც ფიქრობენ გაუქმებას.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

GEORGIAN DREAM
ქართული ოცნება 41
ერთად საქართველოს წარმატებისთვის!

„ქართული ოცნების“ ლიდერებმა ხაშურში, პროფესიული სასწავლებლის მშენებლობის პროცესი დაათვალიერეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია და „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე, ხაშური-ქარელის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზაზა დუგლაძესთან ერთად ხაშურში მდებარე პროფესიული სასწავლებლის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნენ.

3-სართულიანი შენობა 150 სტუდენტზე იქნება გათვლილი და სრულად ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. ტერიტორიაზე მოეწყობა თანამედროვე ტიპის სასწავლო სივრცეები, მათ შორის მაღალტექნოლოგიური სახელოსნოები, ასევე თანამედროვე სტანდარტის ღია სპორტული მოედანი.

პროფესიულ კოლეჯში შესაძლებელი იქნება რეგიონის საჭიროებებზე მორგებული ისეთი პროფესიების დაუფლება, როგორიცაა: ელექტროობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, შედუღება, იატაკის მოპირკეთება, ქვის სამუშაოების წარმოება, კულინარია, კონდიტერია, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, მებაღეობა, სატყეო საქმე და სხვა.

სურამისა და ხაშურის ეპარქიაში სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობაც მიმდინარეობს. ტერიტორიაზე განთავსდება ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მოეწყობა საგამოფენო სივრცე, ტრენინგ-ცენტრი და საკონფერენციო დარბაზი.



ქართული ოცნების“ ლიდერები აგარის სამაცივრე საწარმო „გლენბერში“ იმყოფებოდნენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ და „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ, ხაშური-ქარელის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზაზა დუგლაძესთან ერთად აგარაში სამაცივრე საწარმო „გლენბერი“ დაათვალიერეს.

საწარმო 2018 წელს გაიხსნა, ხოლო განხორციელებულმა ინვესტიციამ ჯამურად 10 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 600 000 ლარი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული გრანტია.

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამაცივრე საწარმოს საქმიანობის სფეროს ხილისა და ბოსტნეულის გაყინვა და მზა სახით რეალიზაცია წარმოადგენს, ასევე, ცოცხალი ხილისა და ბოსტნეულის რეალიზაცია.

კომპანია ნედლეულს ადგილობრივი ფერმერებისა და მწარმოებლებისგან ყიდულობს, ასევე, ფლობს საკუთარ სათბურებსაც.

საწარმოში როგორც სეზონურად, ასევე მუდმივად, ჯამში 135 ადამიანია დასაქმებული, რომლებიც ადგილობრივი მცხოვრებლები არიან.

კომპანია პროდუქციის რეალიზაციას როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე აშშ-სა და ისრაელში ახორციელებს

ძამას ხეობაში გზის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს

ძამას ხეობაში აქტიურად მიმდინარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის ყინწვისი-გვერძინეთი-ტყემლოვანის 16 კმ-მდე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დასრულებაც სექტემბრის ბოლოს იგეგმება.

მდინარე ძამაზე ახალი სახიდე გადასასვლელი, საყრდენი კედლები და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურა შენდება.

სამუშაოებზე დასაქმებულია 100-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის არიან ადგილობრივი მაცხოვრებლები.

„ქართული ოცნების“ ლიდერები კასპის ფეხბურთის ცენტრალური სტადიონს ესტუმრნენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ და „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ, კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი მეზურნიშვილმა და გორი-კასპის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი ხოჯევანიშვილთან ერთად, კასპის ფეხბურთის ცენტრალური სტადიონი და საფეხბურთო სკოლა დაათვალიერეს.

2019 წელს კასპში ხელოვნურსაფარიანი, უეფას II დონის საფეხბურთო ცენტრალური სტადიონი აშენდა, რომელიც 480 მაყურებელზეა გათვლილი. მოეწყო 4 გასახდელი, სამსაჯო, სამედიცინო და დელეგატთა ოთახები, დამონტაჟდა განათების თანამედროვე სისტემა, ასევე აღდგა ცენტრალური სტადიონის მიმდებარე მინი მოედანი.

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა საფეხბურთო სკოლის შენობასაც, რომელიც 250 აღსაზრდელს ემსახურება.

სტადიონის და საფეხბურთო სკოლის მშენებლობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და რეგიონული განვითარების ფონდმა დააფინანსა.

კასპში ინოვაციების ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს

კასპში 200 სტუდენტზე გათვლილი სამსართულიანი, სრულად ადაპტირებული პროფესიული სასწავლებელი აშენდა.

თანამედროვე სტანდარტების პროფესიული სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამები რეგიონში მოთხოვნად პროფესიებს ეფუძნება და ხელს უწყობს კვალიფიციური, სერტიფიცირებული სპეციალისტების მომზადებას, რაც მათი დასაქმების გარანტია.

პროფესიული სასწავლებელი რეგიონისთვის პრიორიტეტული სოფლის მეურნეობის მიმართულებისა და მასთან დაკავშირებული დარგების — ვეტერინარიის, მექანიზაციისა და მებაღეობა-მეხილეობის სპეციალისტებს მოამზადებს. ასევე, მომზადდებიან ელექტრო შედუღების, მაღალი ძაბვის ელექტროობის, ელექტროსამონტაჟო სამუშაოები სპეციალისტები, ამწის ოპერატორმემანქანეები და ა.შ. სასწავლებელი ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

®

ტომა სანკარა – ყველაზე პატიოსანი პრეზიდენტი „მოუსყიდავთა მინდან“, რომელიც საუკეთესო მეგობარმა მოკლა

ოდესღაც აფრიკის სახელმწიფო ბურკინა-ფასო საფრანგეთის ტერიტორია იყო და ზემო ვოლტა ეწოდებოდა. 50-იანი წლების ბოლოს პარიზმა ყოფილ კოლონიას ნომინალური დამოუკიდებლობა მისცა, მაგრამ განაგრძობდა ქვეყნის ეკონომიკაზე და საგარეო პილტიკიაზე კონტროლს, რომელიც საფრანგეთის მცდელობით ღარიბი და კორუმპირებული რჩებოდა.

ყველაფერი ახალგაზრდა პრეზიდენტის ტომა სანკარას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიცვალა. ისტორიაში ის შევიდა, როგორც ყველაზე პატიოსანი პრეზიდენტი, მაგრამ საკუთარი ხალხის სიღარიბისგან გათავისუფლების მცდელობას მისი სიცოცხლე შეეწირა.

კომუნისტი ოფიცრების ჯგუფი

ტომა სანკარა შერეულ ოჯახში დაიბადა. მისი მამა მოსის ხალ-

ხის წარმომადგენელი იყო, დედა კი ფულბეს ტომიდან გახლდათ. აფრიკული საზომებით, ის შერეული სისხლის იყო და ყველაზე დაბალ ფენას მიეკუთვნებოდა. თუმცა მამამისი, რომელიც ჟანდარმად მსახურობდა, გავლენიანი ადამიანი იყო, რამაც შესაძლებლობა მისცა ტომას, იქაური საზომებით კარგი განათლება მიეღო. მშობლებს უნდოდათ, რომ ბიჭუნა კათოლიკე მღვდელი გამხდარიყო, მაგრამ მას სამხედრო კარიერა იზიდავდა.

1968 წელს 19 წლის ტომა სანკარამ სამხედრო სამსახური დაიწყო. ჯარში ახალგაზრდა შეამჩნიეს და კუნძულ მადაგასკარზე ოფიცერთა სკოლაში სასწავლებლად გაგზავნეს. იქ ის მარქსის იდეებს გაეცნო და „აფრიკული სოციალიზმის“ მედგარი მხარდამჭერი გახდა. ვოლტაში დაბრუნების შემდეგ ტომა პარაშუტისტების ელიტურ რაზმში მოხვდა და მეზობელი ქვეყნის, მალის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა.

ქვეყნის დედაქალაქ უგადუგუში სანკარა პოპულარული პიროვნება გახდა. ის განათლებული ოფიცერია, წერს ლექსებს, ქალაქის ქუჩებში მოტოციკლეტით დადის და გიტარაზე უკრავს ჯგუფ "Tout-a-Coup Jazz"-ში. 1967 წლიდან ტომა სათავეში ჩაუდგა ზემო ვოლტის სპეცრაზმის სასწავლო ცენტრს და მეგობრებთან ერთად შექმნა ორგანიზაცია, რომელსაც „კომუნისტი ოფიცრების ჯგუფი“ დაარქვა.

მოუსყიდავთა მინდა

1981 წლის შემოდგომაზე სანკარა სამხედრო ხელისუფლების წევრად აირჩიეს და მინისტრად დანიშნეს ინფორმაციის დარგში. პირველივე სხდომაზე ის ველოსიპედით მივიდა. 1982 წლის გადატრიალების შედეგად სანკარა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ხდება, მაგრამ მისი მემარცხენე შეხედულებები აფრთხობს ფრანგებს, რომლებიც კვლავინდებურად განაგრძობენ ზემო ვოლტის ეკონომიკის კონტროლს. სანკარას თანამდებობიდან ათავისუფლებენ და შიდაპატიმრობას უფარდებენ.

პრემიერ-მინისტრის დასაცავად უაგადუგუს გარეუბნებიდან, რომლებიც აჯანყებას იწყებენ. 1982 წლის აგვისტოში სანკარას მხარდაჭერას სამხედროებიც უცხადებენ. ტომა ციხიდან ათავისუფლებს დედაქალაქის გარნიზონს, რომელსაც მისი მეგობარი ბლეზ კამპაორე მეთაურობდა და რომელიც მისი მუსიკალური ჯგუფის ვოკალისტია.

ამგვარად 33 წლის სანკარა პრეზიდენტი ხდება. მისი პირველი გადაწყვეტილება იყო ქვეყნისთვის ბურკინა-ფასო დაერქმია, რაც ითარგმნება, როგორც „მოუსყიდავთა მიწა“.

სახალხო რეფორმები

ახალმა პრეზიდენტმა „ღირსების რევოლუცია“ გამოაცხადა, რომლის მსვლელობის დროსაც მას სურდა კორუფციის, შიმშილობის, დაავადებებისა და უწიფნურობის დამარცხება. სანკარა აუქმებს ტომების ბელადებისთვის ძღვენის მირთმევას, გლეხების საშემოსავლო გადასახადს და უზრუნველყოფს ღარიბებისთვის საკვები პროდუქტების მიღებას. ქალების და მამაკაცების უფლებებს ათანაბრებს, კრძალავს მრავალცოლიანობას და ბარბაროსულ წესს — გოგონებისთვის გენიტალიების წინადაცვეთას.

ბურკინა-ფასოს ბავშვებს გაუკეთდათ 2,5 მლნ ვაქცინა იმ რეგიონში გავრცელებული დაავადების წინააღმდეგ; წვრილ მეწარმეებს ჩამოაწერეს ვალები, რომლებიც უსამართლოდ მიაწერეს მათ; საჰარის ქვიშის ქარებისგან თავდაცვისთვის უდაბნოს საზღვარზე 10 მლნ ხე დარგეს.

„მერსედესებისა“ და კონდიციონერების გარეშე

სანკარამ ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა, კონტროლზე აიყვანა მასმედია და სამსახურიდან ათავისუფლებდა ყველას, ვინც მის პოლიტიკას არ ემხრობოდა. თუმცა პოპულარობით სარგებლობდა ღარიბებს და განსაკუთრებით, ქალებს შორის. ის აიძულებდა ჩინოვნიკებს, ჩაეცვათ ადგილობრივი წარმოების სამოსი და სახელმწიფო მოხელეებისთვის მიიღო კანონი შემოსავლების გასაჯაროების შესახებ.

პრეზიდენტმა გაყიდა სამთავრობო „მერსედესები“ და ჩინოვნიკები ყველაზე იაფ ავტომანქანებზე — „რენო-5“-ზე გადასვა. სანკარამ უარი განაცხადა თავის ოთახში კონდიციონერის დადგმაზე: „მე მრცხვენია ჩემი ხალხის წინაშე, რომლისთვისაც ეს ფუფუნება მიუწვდომელია“, — განაცხადა მან. ამასთან, აკრძალა თავისი პორტრეტების განთავსება ქუჩებსა და დაწესებულებებში.

1986 წელს მსოფლიო ბანკმა განაცხადა, რომ ბურკინა-ფასოში კორუფცია დაამარცხეს. სინკარას „აფრიკელი ჩე გევარას“ ეძახდნენ, ის განაგრძობდა გზების, სოციალური საცხოვრებლების მშენებლობას და უწიგნურობასთან ბრძოლას. და, რაც ყველაზე მთავარია, ქვეყანა ფრანგული კაპიტალის გავლენისგან გათავისუფლდა. მაგრამ ეს არ აწყობდა, როგორც პარიზს, ასევე მეზობელ აფრიკულ ქვეყნებს, რომელთა დიქტატორებს ეშინოდათ, რომ მათი ხალ-

ხები მაგალითს ბურკინა-ფასოსგან აიღებდნენ და ცვლილებებს მოითხოვდნენ.

„მოუსყიდავთა მიწის“ დასასრული

წარუმატებელი საგარეო პოლიტიკისა და მეზობლებთან წინააღმდეგობების გამო ბურკინა-ფასო იზოლაციაში აღმოჩნდა. ამან ეკონომიკის დაცემამდე მიიყვანა ქვეყანა. უკვე დანგრევის გზაზე მყოფ საბჭოთა კავშირთან დამეგობრება ვერ მოხერხდა. პრეზიდენტი შეცდომებს უშვებს და მისი რეიტინგი ქვეყნის შიგნით ეცემა. სანკარას წინააღმდეგ გამოდის მისი მეგობარი ბლეზ კომპაორე, რომელიც თავის დროზე ტომამ ციხიდან გაათავისუფლა. კომპაორე ამ პერიოდში იუსტიციის მინისტრის პოსტს იკავებს, ის ფრანგებთან კონტაქტს ამყარებს და 1987 წლის 15 ოქტომბერს გადატრიალებას აწყობს.

სანკარამ იცოდა, რომ მის მოკვლას აპირებდნენ, მაგრამ უარი თქვა, გასწორებოდა მეგობარს. პრეზიდენტი თვითონ გავიდა მედესანტეებთან, რომლებიც სამთავრობო შენობის შტურმს ახორციელებდნენ. სამხედროებმა სანკარა და მასთან დაახლოებული 20 მისი მომხრე დახვრიტეს. მათი სხეულები დაანაწევრეს და უცნობ ადგილზე დაფლეს. სანკარას მეუღლე და ორი ვაჟი გაიქცნენ. სიკვდილის მომენტისთვის „მოუსყიდავთა მიწის“ პრეზიდენტის ქონება სამი გიტარა, ოთხი ველოსიპედი და „პეჟოს“ მარკის ავტომანქანა გახლდათ.

ახალი პრეზიდენტის ბლეზ კამპეორეს პირველი გადაწყვეტილება პირადი თვითმფრინავის „ბოინგის“ შეძენა იყო. ქვეყანაში ააშენეს რამდენიმე ციხე პოლიტპატიმრებისთვის. დაიწყო უკმაყოფილოთა დასჯა, ჩინოვნიკებს გაუორმაგდათ ხელფასები, ხოლო სამედიცინო გადასახადები გაუქმდა.

საფრანგეთმა კომპაორეს ხელისუფლებაში მოსვლა „დემოკრატიზაციად“ შეაფასა, 1991 წელს კი ბურკინა-ფასოში ჩატარდა არჩევნები, რომელშიც ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 7%-მა მიიღო მონაწილეობა. მოქმედმა პრეზიდენტმა ხმების 100% მოიპოვა, ხოლო მსოფლიო სავალუტო ფონდისგან 67 მლნ დოლარის კრედიტი მიიღო. ქვეყნის შეცვლილი კონსტიტუციის თანახმად, კომპაორემ პრაქტიკულად შეუზღუდავი ძალაუფლება მოიპოვა.

2014 წელს, სამხედრო გადატრიალების დროს ბლეზ კომპაორემ თანამდებობა დატოვა. დღეისათვის ბურკინა-ფასო მსოფლიოში ერთ-ერთი ღარიბი ქვეყანაა, რომლის მოსახლეობის 90% ნატურალური მეურნეობით არის დაკავებული. ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით ერთ სულ მოსახლეზე ის 206-ე ადგილზეა, ხოლო ფრანგული კაპიტალი კვლავ აგრძელებს ქვეყნის ეკონომიკის მართვას. მოკლული ტომა სანკარა აფრიკელების თავისუფლებისა და აღორძინების სიმბოლოდ იქცა.

და კიდევ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სანკარა იყო არა მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკოსი, არამედ მუსიკოსიც: ის წერდა კარგ სიმღერებს, რომელთაგან ზოგიერთს დღემდე ასრულებენ ბურკინა-ფასოს მემარცხენე მუსიკალური ჯგუფები.

ტომა სანკარა თავისი ხალხის მეხსიერებაში დარჩა, როგორც ღირსეული პატიოსანი ადამიანი, რომელიც თავის ქვეყანასა და ხალხზე ზრუნავდა.

ბლეზ კამპაორე

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983

http://www.saertogazeti.ge